160. ჟელეზნიაკი ალა ვასილის ასული — თბილისის 66-ე საშ. სკოლა

161. კასუმოვა ჩიმიამ ტაშაის ასული — თბილისის 66-ე საშ. სკოლა

162. აბრაელიანი მარიამ სერგოს ასული — თბილისის 66-ე საშ. სკოლა

### ა) კოლექტიური ნაშრომების წარმოდგენისათვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა კლუბი, ქ. თბილისის 1-ლი, მე-4, 22-ე, 37-ე, 66-ე, 130-ე, გლდანის, წყნეთის, მცხეთის, გომბორის, თელავის 1-ლი, მე-4, ზემო ალვანის, ჭიათურის 1-ლი, ქორეთის საშ. სკოლების ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრეები, ქობულეთის, კიროვის, გარდაბნის, საგარეჯოს, ბათუმის, ზუგდიდის, კასპის, დუშეთის, თერჯოლის, ასპინძის, ახალციხის, მახარაძის პიონერთა სახლებისა და ქ. ქუთაისის პიონერთა სასახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრეები.

მხარეთმცოდნეობით მუშაობაში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმისა და წლების მანძილზე ნორჩ მხარეთმცოდნეთა რესპუბლიკური შეკრების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებული იქნენ **„სახალხო განათლების წარჩინებულის“** სამკერდე ნიშნით:

1. დევდარიანი მერი გიორგის ასული—თბილისის მე-6 საშ. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი,
2. ოდიშარია ზეინაბ ვლასის ასული—თბილისის კიროვის რ-ნის პიონერთა სახლის დირექტორი,
3. ჩოლოყაშვილი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე—საქართველოს ჯანაშიას სახ. მუზეუმის უფროსი მეცნიერთანამშრომელი.

### დაჯილდოვდნენ სიგელებით:

1. გოგატიშვილი მიხეილ დავითის ძე—საჩხერის რ-ნის ქორეთის საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი
2. ბუცხრიკიძე ალექსანდრე ირაკლის ძე—თერჯოლის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი
3. ჩაკვეტაძე არკადი ილარიონის ძე—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორ მხარეთმცოდნეთა წრის ხელმძღვანელი
4. ტატიშვილი ვაჟა ნიკოლოზის ძე—დუშეთის პიონერთა და და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის სექციის ხელმძღვანელი
5. ციცხვაია ხარიტონ გაბრიელის ძე—გომბორის საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი
6. ცაკაშვილი მიხეილ ილიას ძე—თელავის მე-4 საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. მესხი მანუელ იაგორის ძე—ვანის საშუალო სკოლის დირექტორი

8. ადეიშვილი მეთოდე ივანეს ძე—ვანის კიროვის სახ. საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

9. ნაცვლიშვილი ნათელა ვახტანგის ასული—სიღნაღის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

10. ენუქიძე იულია ილიას ასული—რუსთავის მე-15 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

11. თამაზაშვილი ჟუჟუნა ასლანის ასული—ქობულეთის პიონერთა სახლის დირექტორი

12. გიგინეიშვილი მეწყინა ალექსანდრეს ასული—ქობულეთის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

13. ევსაია ზაირა ამბროსის ასული—წალენჯიხის ჯვარის საშ. სკოლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრის ხელმძღვანელი

14. სამხარაძე გოდერძი იასონის ძე—ჭიათურის საბავშვო სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

15. თოფურია აბესალომ სარდიონის ძე—ფოთის I საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

16. დარჩია ნუნუ იოსების ასული—ბათუმის საოლქო პიონერთა სახლის დირექტორი

17. ციცხვაია ანზორ პოლიკარპეს ძე—ბათუმის საოლქო პიონერთა სახლის დირექტორი

18. კუპრაძე ბენიამინ ივანეს ძე—მახარაძის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნეობის სექციის ხელმძღვანელი

19. ხოხლენკო გიორგი ანტონის ძე—მახარაძის 1-ლი საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

20. დოლიძე ნინო—ჩოხატაურის I საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

21. დიაკონიძე აკაკი აპალონის ძე—ტყიბულის V საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

22. მურვანიძე აკაკი აპოლონის ძე—ლანჩხუთის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

23. ლაშხი ცეზარი სერგოს ძე—საჩხერის პიონერთა სახლის დირექტორი

24. ლაშხი ლალი სერგოს ასული—საჩხერის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

25. აბაშიძე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე—სპეთის რვაწლიანი სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. ნემსაძე ვლასი ვარდენის ძე—წყალტუბოს რაიონის მეჯვე-ნის რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

27. ბოძიკაძე მაყვალა ანტონის ასული—ახმეტის რვაწლიანი სკოლის პიონერხელმძღვანელი

28. სიხარულიძე ზურაბ სერგოს ძე—ქარელის პიონერთა სახლის დირექტორი

29. მზარეულაშვილი ალექსანდრე ვახჩოს ძე—კასპის პიონერთა სახლის დირექტორი

30. ბუნტური გიორგი პეტრეს ძე—კასპის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

31. გოგინაშვილი ციური შალვას ასული—ხოვლის საშ. სკოლის პიონერხელმძღვანელი

32. ლომიძე ლეილა ვასილის ასული—ერთაწმინდის რვაწლიანი სკოლის პიონერხელმძღვანელი

33. შალამბერიძე ცირა ოლიფანტეს ასული—გლდანის საშ. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

34. რავა ევდოკია სტეფანეს ასული—სიხნოს სახ. გარდაბნის I რუსული საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

35. ტაიროვა როზა ალექსანდრეს ასული—სიხნოს სახელობის გარდაბნის საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

36. ახულოვი ლიდა გიორგის ასული—გარდაბნის რაიონის წყნეთის საშ. სკოლის ქართული ენის მასწავლებელი

37. შაოიანი ეთერ არტემის ასული—საგარეჯოს II საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

38. დალაქიშვილი ლეილა გრიგოლის ასული—ამბროლაურის I საშ. სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

39. კონსტანტინოვი ვლადიმერ არჩილის ძე—ასპინძის რ-ნის რუსთავის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი

40. დიდმამიშვილი გივი ლევანის ძე—ახალციხის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

41. კვაბზირაძე ციური ერმილეს ძე—წულუკიძის რაიონის მათხოჯის საშ. სკოლის პიონერხელმძღვანელი

42. ზურაბაშვილი ალექსანდრა სოლომონის ასული—მცხეთის I საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

43. თათარაშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე—მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი

44. ოსეფაშვილი თამარ გიორგის ასული—მუხრანის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

45. კვარაცხელია დავით — გუდაუთის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნეობის სექციის ხელმძღვანელი

46. გრიგოლია ეთერი გიორგის ასული — საჯავახოს საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

47. დავითაშვილი ნინო ვასილის ასული — თბილისის 1 საშ. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

48. ტარაევა ანა ლეონტის ასული — თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი

49. დინარაძე უშანგი იოსების ძე — თბილისის კიროვის რ-ნის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

2. ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ:

ა) პერიოდულად მიავლინოს ადგილებზე დასახმარებლად სასახლის მუშაკები, სკოლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებების ამ ღონისძიებაში მეტი რაოდენობით ჩასაბმელად;

ბ) უახლოეს ხანში უზრუნველყოს შეკრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი მასალის ადგილებამდე დაყვანა;

3. ნორჩ მხარეთმცოდნეთა VII რესპუბლიკური შეკრება ჩატარდეს 1967 წლის ნოემბერში.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ ნორჩ მხარეთმცოდნეთა VII რესპუბლიკური შეკრებისათვის მზადებაში სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მასობრივად ჩაბმა.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) შრომის წითელი დროშის ორდენის თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის 1967 წლის ბიუჯეტით გაითვალისწინოს ნორჩ მხარეთმცოდნეთა VII რესპუბლიკური შეკრებისათვის საჭირო თანხები.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 7 ივნისის ბრძანება № 731

### არასრულწლოვანთა შორის სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის სკოლის გარეშე დაწესებულებანი — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პიონერთა სახლი ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან უზედამხედველო არასრულწლოვან ბავშვთა კულტურული გართობისა და დასვენებისათვის სათანადო პირობების შექმნისა და ნიჭისა და მიდრეკილების მიხედვით მათი ჩაბმისათვის სკოლის გარეშე საწრეო ღონისძიებებში. დასახელებულ დაწებულებებს მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებული სკოლებთან, მილიციის საბავშვო ოთახებთან და სახლმმართველობებთან შექმნილ ბავშვთა კოლექტივებთან.

თბილისის პირონერთა და მოსწავლეთა სასახლის განყოფილებები შეფობას უწევენ ქ. თბილისის მილიციის ბავშთა ოთახებს და რაიონული პიონერული სახლების მეშვეობით დამყარებული აქვთ მათთან კონტაქტი და საქმიანი ურთიერთობა. პიონერთა სასახლის თანამშრომლებმა მილიციის ბავშვთა ოთახების მიერ აღრიცხვაზე აყვანილი უზედამხედველო ბავშვების სიები დააზუსტეს და ბევრი მათგანი სასახლის სპორტულ და ტექნიკურ განყოფილებებთან შექმნილ წრეებში ჩააბეს.

ქ. თბილისის სკოლის გარეშე სხვა დიწესებულებებმა მილიციის ბავშვთა ოთახების წარმომადგენლებთან ერთად უზედამხედველო ბავშვებისათვის მრავალი საინტერესო ერთობლივი ღონისძიება გაატარეს. ბავშვთა ოთახებისათვის დახმარების გაწევის მიზნით მესამე მასივის დასახლების მილიციის ბავშვთა ოთახში აღრიცხვაზე მყოფი მოზარდთა ერთი ჯგუფი ბეთანიის ტურისტულ ბანაკში გაიგზავნა დასასვენებლად.

სახლმმართველობებთან მომუშავე პედაგოგ-ორგანიზატორების შტატის დაწესების შემდეგ უფრო მეტად განმტკიცდა კავშირი სახლმმართველობებთან; პედაგოგ-ორგანიზატორებისათვის ჩატარდება სპეციალური სემინარი და მათ დასახმარებლად მუშავდება მეთოდური წერილი.

პიონერთა სასახლეში უკვე მესამე წელია, რაც ტარდება „ფორპოსტის დღე". ამ დღეს ქ. თბილისის მილიციის საბავშვო ოთახების ხელმძღვანელები და მათთან აღრიცხვაზე მყოფი მოზარდები, სახლმმართველობებთან შექმნილი ბავშვთა კოლექტივები და პედაგოგ-ორგანიზატორები სასახლის ლექტორიუმში ცხადდებიან, სადაც ეწყობა მათი კედლის გაზეთების გამოფენა, ისახება ახალი გეგმები, ხდება მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების შერჩევა, რის შედეგად, უფრო მეტად მტკიცდება კონტაქტი ბავშვთა ოთახებთან.

უკანასკნელ ხანებში უზედამხედველოდ დარჩენილი ბავშვთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით გარკვეულ მუშაობას ეწევიან ქ. ქ. ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ჭიათურისა და ტყიბულის სკოლის გარეშე დაწესებულებანი; თელავის, ზუგდიდის, მახარაძის, აშურისა და ზოგიერთი სხვა რაიონის სარაიონო პიონერული სახლები.

მიუხედავად ამისა, ბავშვთა უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე ჯერ კიდევ არა დგას სკოლისგარეშე ბავშვთა დაწესებულებების მუშაკთა ყურადღების ცენტრში; ბავშვთა მნიშვნელოვანი ნაწილი არასასწავლო დროს მშობელთა, სკოლისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების სათანადო ზედამხედველობის გარეშეა დატოვებული. ყველა შესაძლებლობა არ არის გამოყენებული უზედამხედველო ბავშვების კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობაში ჩასაბმელად.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ამ მიმართულებით სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვებთან მუშაობაში სკოლების დიდი ნაწილი დღემდე ჯეროვან დახმარებას ვერ უწევს მილიციის საბავშვო ოთახებს და სახლმმართველობებს.

ბავშვთა უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა აამაღლონ ადგილობრივი სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაკთა პასუხისმგებლობა და მიაღწიონ იმას, რომ ეს დაწესებულებანი უზედამხედველო ბავშვთა შორის ორგანიზატორულ-მეთოდური ხელმძღვანელობის ცენტრად იქცნენ; განაზოგადონ და დანერგონ მილიციის ბავშვთა ოთახებთან ურთიერთობის დარგში ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გამოცდილება და აღრიცხვაზე აყვანილი უზედამხედველო ბავშვები ჩააბან სკოლისგარეშე დაწესებულებებში არსებული სპორტული, ტექნიკური და სხვა სახის წრეებში.

გაატარონ საჭირო ღონისძიებანი, რათა ნორჩ ტექნიკოსთა, ნორჩ ნატურალისტთა სადგურების, ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული ბაზებისა და პიონერთა სახლების მუშაობაში საპატიო ადგილი დაიჭიროს სკოლებისა და ბავშვთა ოთახებისადმი აქტიურმა დახმარებამ უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვთა კულტურული მომსახურების საქმეში;

—მიაღწიონ იმას, რომ ადგილებზე უზედამხედველო ბავშვებისათვის სისტემატურად ეწყობოდეს მხატვრული და სამეცნიერო-პოპულარული კინოფილმების ჩვენება და, რაც მთავარია, მიღებულ იქნას ყველა ზომა, რათა ეს ბავშვები, ინდივიდუალური მიდრეკილების მიხედვით, ჩაბმული იქნენ სკოლისგარეშე დაწესებულებების სათანადო წრეებში;

— ადგილობრივ კომკავშირულ ორგანოებთან ერთად, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უზრუნველყონ ამ ბავშვებთან მუშაობის საინტერესო ფორმების (ფორპოსტები, გაერთიანებანი ინტერესის მიხედვით, პიონერული მოქმედების ზონა, თემურელთა რაზმები, პიონერთა და უფროსკლასელთა კლუბები, პიონერული ბანაკები, სპორტული მოედნები, პიონერული შტაბი, საგუშაგო წრეები, შეჯიბრებები და სხვ.) ფართოდ დანერგვა.

—საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა შორის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სკოლებიდან განთესილი და უზედამხედველოდ დარჩენილი ბავშვების გამოსავლინებლად მიმდინარე წლის აგვისტოში ჩაატარონ ერთთვიური, რომლის შედეგები განიხილონ მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე;

—შეისწავლონ არასრულწლოვანთა შორის სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობის მიმდინარეობის მდგომარეობა და შემოწმების შედეგები პერიოდულად განიხილონ კოლეგიებისა და განათლების საბჭოების სხდომებზე.

2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა და ბავშვთა ცენტრალურმა ტურისტულმა სადგურებმა საქმიანი ურთიერთობა დაამყარონ მილიციის ბავშვთა ოთახებთან და უზრუნველყონ აღრიცხვაზე აყვანილ უზედამხედველო ბავშვთა ჩაბმა სხვადასხვა წრეებსა და ტურისტულ ლაშქრობებში.

3. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ სისტემატურად გააშუქოს არასრულწლოვანთა შორის კლასგარეშე დაწესებულებების მუშაობის მდგომარეობა და ფართოდ განაზოგადოს მოწინავე მუშაობის ფორმები და მეთოდები.

4. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) კოლეგიას წარმოუდგინოს წინადადება თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან ბავშვთა შორის მუშაობის სექტორის შექმნის თაობაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის 1967 წლის 4 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ი. ბეროზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 12 ივნისის ბრძანება № 759

### 1967 წლის I კვარტალში განათლების სამინისტროში შემოსულ მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების მიერ გარკვეული მუშაობა ტარდება მშრომელთა წერილების, განცხადება-საჩივრების განხილვისა და დროულად რეაგირების საქმის გასაუმჯობესებლად. მშრომელთა განცხადება-საჩივრების აღრიცხვის საქმე დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. მშრომელთა წერილების მოძრაობის აღრიცხვა წარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ რეკომენდებული და სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

განათლების სამინისტროში შემოსული წერილებისა და განცხადება-საჩივრების განხილვა, პასუხების გაცემა, ძირითადად დროულად წარმოებს. ამ მხრივ აღსანიშნავია საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების, საგეგმო-საფინანსო სამმართველოების, სკოლამდელი აღზრდისა და კადრების განყოფილებების მუშაობა.

1967 წლის I კვარტალში სამინისტროში შემოვიდა მშრომელთა 1.569 წერილი და სხვადასხვა ხასიათის განცხადება-საჩივარი, რომლებიც სამმართველო-განყოფილებებზე შემდეგნაირად ნაწილდება: საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო—258, სკოლების სამმართველო—158; საგეგმო-საფინანსო სამაართველო—267; სკოლა-ინტერნატების სამმართველო—202; კადრების განყოფილება—526; სკოლამდელი აღზრდის განყოფილება 37 და ა. შ.

გაძლიერდა სამმართველო-გამყოფილებებისა და მათი უფროსების ყურადღება მშრომელთა წერილებისადმი, მნიშვნელოვნად ამაღლდა პასუხისმგებლობა მშრომელთა განცხადება-საჩივრების დროულად და ამომწურავად განხილვის საქმისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროს კოლეგიისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს სხდომებზე პერიოდულად იხილება მშრომელთა წერილებისა და განცხადება-საჩივრების შემოწმების და განხილვის მდგომარეობა.

მიუხედავად ამისა, მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს.

არის შემთხვევები, როდესაც ირღვევა სამინისტროში შემოსული მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვისათვის დაწესებული ვადები; ასე, მაგალითად, 14 თებერვალს სკოლების სამმართველოში მახარაძიდან შემოვიდა უსახელო წერილი „ცხემლისხიდის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა ხარჯებით მოწყობილი ექსკურსიების შესახებ", რომელიც დღემდე შეუმოწმებელია.

21 თებერვალს სკოლა-ინტერნატების სამმართველოში შემოვიდა უსახელო წერილი „თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობის შესახებ". ამავე სამმართველოში 13 მარტს სახალხო კონტროლის კომიტეტიდან შემოვიდა უსახელო განცხადება „თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობის შესახებ". აღნიშნულ წერილებში მოტანილი ფაქტები დღემდე შეუმოწმებელია.

13 და 21 მარტს იმავე სკოლა-ინტერნატების სამმართველოში შემოვიდა მოქ. ო. კ. ორჯონიკიძის განცხადება ბორჯომიდან „მისი სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების შესახებ" და უსახელო განცხადება „ქუთაისის სკოლა-ინტერნატის შესახებ" ორივე განცხადება გადაცემული აქვს ამხ. გ. კოპალეიშვილს. აღნიშნულ განცხადებებზე ჯერჯერობით არ არის გაცემული პასუხი ან მოხდენილი რაიმე რეაგირება.

პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის დირექტორის შესახებ შემოსულია სამი ხელმოუწერელი განცხადება, მხოლოდ ერთზე, რომელიც გადმოგზავნილი იყო გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციიდან გაცემულია პასუხი, დანარჩენი ორი განცხადება გადაცემული აქვს ამხ. გ. კოპალეიშვილს, რომლებიც ორი თვის შემდეგ კიდევ არ არის შემოწმებული.

მარნეულის რაიონის სოფ. ორჯონიკიძის სკოლის მშობელთა კომიტეტის წევრებისაგან ა. წ. 24 იანვარს შემოვიდა განცხადება სკოლაზე ოთახების მიშენების შესახებ, რომელიც მინისტრის რეზოლუციით გადაეცა კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას,

ალნიშნულ წერილზე მხოლოდ 17 მარტს ე. ი. ორი თვის შემდეგ გაეცა უარყოფითი პასუხი.

ბიბლიოთეკა

1964 წელში ზესტაფონის რაიონის სოფ. ცხენთარის რვაწლიანი სკოლის დირექცია და სასოფლო საბჭო, სკოლის შენობის ავარიულ მდგომარეობაში ყოფნის გამო, ითხოვდა სკოლის ახალი შენობის დაპროექტებას. სკოლის დაპროექტება 1967 წლის იანვარში დამთავრდა. სკოლისა და სასოფლო საბჭოს მეორე განცხადება მიღებული იქნა სამინისტროში სკოლის მშენებლობის გეგმაში შეტანის შესახებ; აღნიშნული განცხადება მინისტრის რეზოლუციით კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას გადაეცა, რომელმაც მშენებლობის გეგმაში შეტანაზე უარი განაცხადა და არც კი მისწერა განმცხადებელს შეიტანენ თუ არა სკოლის მშენებლობას 1968 წლის გეგმაში.

იშვიათად, მაგრამ მაინც არის ფაქტები კონტროლზე აღებულ წერილებზე პასუხის დაგვიანებით გაგზავნისა, ასე, მაგალითად, 23 თებერვალს სკოლების სამმართველოში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან გადმოგზავნილი იქნა ბოლნისის რაიონის სოფ. დარბაზიდან მიღებული განცხადება „საშუალო სკოლაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“. აღნიშნული განცხადება გადაეცა ამხ. ქ. გაჯილაროვს, რომელმაც პასუხი მხოლოდ ორი თვის შემდეგ მოამზადა.

არის შემთხვევები, როდესაც მშრომელთა განცხადება-საჩივრები ეგზავნებათ სხვა ორგანიზაციებს კუთვნილებისამებრ, მაგრამ ამის შესახებ ზოგჯერ სამმართველო-განყოფილებები არ აცნობებენ განმცხადებელს.

მიუხედავად მრავალჯერ მითითებისა, ზოგიერთ სამმართველო-განყოფილებაში სრულიად არ ივსება მშრომელთა წერილების სააღრიცხვო ჟურნალის ყველა გრაფა, რის გამო ძნელდება საჩივრების მოძრაობის დადგენა და მიღებული ზომების გარკვევა.

უსისტემოდ ან სრულიად არ ტარდება ოპერატიული თათბირები მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

არის შემთხვევები, როდესაც განათლების ადგილობრივი ორგანოები აგვიანებენ მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვასა და საჭირო ზომების მიღებას, პასუხს უგვიანებენ თვით სამინისტროსაც, რის გამოც განმცხადებელი პასუხს დროულად ვერარ ღებულობს, უფრო მეტიც—ზოგიერთი რაიონის განათლების განყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილებების მუშაკი კონტროლზე აღებულ წერილზეც კი აგვიანებს პასუხს. ასე, მაგალითად, 1966 წლის 27 დეკემბერს გაზეთ „უჩიტელსკაია გაზეტას“ რედაქციიდან შემოვიდა მოქ. გრიგორიანის განცხადება „სოფ. ოშრეთის საშუალო სკოლის მასწავლებელთა შესახებ“. აღნიშნული განცხადება კადრების განყოფილებამ გადაუგზავნა მარნეულის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ი. გეიდაროვს, რომელსაც ამის შემდეგ სამი შეხსენება გაეგზავნა და მხოლოდ 4 აპრილს, როდესაც კადრების განყოფილებამ პირადად გამოიძახა იგი, წარმოადგინა ნარკვევი მასალა. ი. გეიდაროვის საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, სამინისტროს კადრების განყოფილებამ „უჩიტელსკაია გაზეტას“ რედაქციას პასუხი სამი თვის დაგვიანებით აცნობა.

6 იანვარს, იმავე კადრების განყოფილებაში შემოვიდა მოქ. მამფარიანის განცხადება, რომელიც სამუშაოს ითხოვდა მესტიის რაიონში. აღნიშნული განცხადება 9 იანვარს გადაეგზავნა განათლების განყოფილების გამგეს ნ. გუჯეჯიანს, რომლისგანაც მოითხოვდნენ პასუხს. სამი შეხსენების შემდეგ პასუხი მაინც არ მოსულა.

23 თებერვალს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციიდან კადრების განყოფილებაში შენოვიდა მოქ. სულეიმანოვისა და სხვების განცხადება „დმანისის რაიონის სოფ. ამამლოს საშუალო სკოლის შესახებ“ აღნიშნული განცხადება გაეგზავნა განათლების განყოფილების გამგეს მანსუროვს და მიუხედავად იმისა, რომ წერილი კონტროლზე იყო აღებული და შეხსენებაც გაუგზავნეს, პასუხი მაინც მთელი თვით დააგვიანეს.

ანალოგიურ შემთხვევებს აქვს ადგილი გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებაშიც (გამგე ა. ერთელიშვილი).

იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება ფაქტები, როდესაც განცხადება-საჩივრების ჩამოწერა სამმართველო-განყოფილებებში ხდება ინსპექტორების მიერ შედგენილი ცნობებისა და სამმართველო-განყოფილებათა უფროსების ან მათი მოადგილეების რეზოლუციის გარეშე. სამმართველო-განყოფილებათა უფროსები სისტემატურ კონტროლს არ ახორციელებენ საჩივრების განხილვის მიმდინარეობასა და მათ საბოლოოდ გადაწყვეტაზე, რის გამოც განცხადება-საჩივართა ერთ ნაწილზე პასუხები დაგვიანებით იგზავნება.

ხშირია შემთხვევები, როდესაც სკოლებისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები მთელი პასუხისმგებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობით არ ეკიდებიან განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეს, არ იჩენენ სათანადო გულისხმიერებას მშრომელებისადმი, დროულად არ ღებულობენ საჭირო ზომებს საკითხების ადგილზე მოსაგვარებლად (მესტიის, ბოლნისის, მარნეულის, დმანისის რაიონები), რის შედეგად ბევრი მშობელი და მასწავლებელი იძულებულია საჩივრით მიმართოს ზემდგომ ორგანოებს ისეთი საკითხების მოსაგვარებლად, რომელთა გადაწყვეტა სკოლების ხელმძღვანელებისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ უნდა ხდებოდეს.

მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა:

ა) მიიღონ ზომები, რათა განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) აღკვეთონ მშრომელთა წერილების განხილვისათვის დაწესებული ვადების დარღვევის შემთხვევები;

გ) პირადად შეისწავლონ მშრომელთა საჩივრების განხილვის მდგომარეობა, პერიოდულად განიხილონ აღნიშნული საკითხები ოპერატიულ თათბირებზე;

დ) სისტემატურად შეისწავლონ ადგილებზე მშრომელთა საჩივრების გამომწვევი მიზეზები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განმეორებითი საჩივრების გამომწვევ მიზეზებს;

ე) მშრომელთა განცხადება-საჩივრის სხვა ორგანიზაციაზე განსახილველად გადაგზავნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობონ განმცხადებელს.

არ დაუშვან საჩივრის იმ პირთათვის გადაგზავნა ვიზედაც საჩივარია აღძრული;

ვ) საჭირო კონტროლი დააწესონ განათლების ადგილობრივ ორგანოებზე, რათა დროულად იქნეს მიღებული განხილვის შედეგი იმ განცხადება-საჩივრებზე, რომელთა შესახებაც უნდა ეცნობოს სამინისტროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებამ:

ა) სამინისტროს სამმართველო-განყოფილებები დროულად უზრუნველყოს საჭირო სარეგისტრაციო ჟურნალებითა და საქაღალდეებით;

ბ) მიიღოს ქმედითი ზომები სამინისტროში შემოსულ მშრომელთა წერილების დროულად და არსებული წესით აღრიცხვასა და მათ მოძრაობაზე კონტროლის დაწესებისათვის.

4. კანცელარიის გამგემ:

ა) უზრუნველყოს მშრომელთა განცხადება-საჩივრების დაუგვიანებლივ გადაცემა დანიშნულებისამებრ;

ბ) სისტემატურად აწარმოოს კონტროლზე აღებული წერილებისათვის განკუთვნილი ბარათების შევსება და კონტროლი მათ შესრულებაზე.

5. მინისტრის თანაშემწემ ამხ. თ. გოდაბრელიძემ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 26 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ი. ბეროზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 13 ივნისის ბრძანება № 764

### ბუნების ნორჩ მეგობართა მე-2 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-3 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ ბუნების ნორჩ მეგობართა მეორე რესპუბლიკური შეკრების ჩატარებამ ხელი შეუწყო ბუნების შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეთა გამოვლინებას. ბუნების დაცვის ნორჩმა მეგობრებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს დეკორატიულ და ხეხილ-კენკროვან მცენარეთა სანერგეების, ხეივნებისა და სკვერების მოწყობასა და დაცვისათვის, სკოლების, საბავშვო ბაღების, ქუჩების, უტყეო ფერდობების გამწვანებაში, სასარგებლო ცხოველთა და ფრინველთა ჯიშების შესწავლასა და ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლაში.

შეკრების მონაწილეთა ნამუშევრების გამოფენამ გამოავლინა ბუნების ნორჩ დამცველთა მრავალმხრივი პრაქტიკული საქმიანობის კარგი შედეგები.

ბუნების ნორჩ მეგობართა მე-2 რესპუბლიკური შეკრების შემაჯამებელ გამოფენაზე შედარებით კარგი მასალების წარმოდგენით გამოირჩეოდნენ: ხაშურის რაიონის ქვიშხეთის, ალის; ახმეტის მე-2; თერჯოლის რაიონის ზედასაზანოს; საგარეჯოს რაიონის გომბორის; ასპინძის; რუსთავის 8-წლიანი; ახალციხის 1-ლი, მე-2, მინაძეების 8-წლიანი; ცაგერის რაიონის ალპანის; გურჯაანის რ-ნის ბაკურციხის, ლელიანის; თელავის რაიონის რუისპირის; სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის; თბილისის 1-ლი, მე-5, მე-7, მე-10, 126-ე და მე-2 გახანგრძლივებული საშუალო სკოლები; ქ. ფოთის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი; ახმეტის, ახალციხის პიონერთა და მოსწავლეთა პარკების სახლებისა და ამავე რაიონის სკოლა-ინტერნატის ნორჩი ნატურალისტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია ქ. თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის მუშაობა ბუნების ნორჩ მეგობართა მე-2 რესპუბლიკური შეკრების ორგანიზებულად მომზადებასა და ჩატარებაში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ა) ბუნების ნორჩ მეგობართა მეორე რესპუბლიკურ შეკრებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომებით მოსწავლეები:

1. კუპრეიშვილი გივი სოსოს ძე—ყვარლის მე-2 საშუალო სკოლა

2. იოსებაშვილი გია ზაალის ძე—ყვარლის მე-2 საშუალო სკოლა

3. იაშვილი მარინე შალვას ასული—ყვარლის მე-2 საშუალო სკოლა

4. სეფიაშვილი დოდო ირაკლის ასული—ყვარლის მე-2 საშ. სკოლა

5. ელიზაშვილი სოსო ელიოზის ძე—ყვარლის მე-2 საშუალო სკოლა

6. რუსიშვილი დავითი ოთარის ძე—ყვარლის მე-2 საშუალო სკოლა

7. შავგულიძე გია რაფიელის ძე—ყვარლის მე-2 საშუალო სკოლა

8. ჯიქიძე გულიკო ივანეს ასული—წყალტუბო, პატრიკეთის 8-წლიანი სკოლა

9. თუთბერიძე ნინო ჭიჭიკოს ასული—წყალტუბო, პატრიკეთის 8-წლიანი სკოლა

10. მუშკუდიანი თინა სერგოს ასული—სოხუმის მე-2 საშუალო სკოლა-ინტერნატი

11. კოპალიანი ნაზიბროლა პოლიაქტის ასული—სოხუმის მე-2 საშუალო სკოლა-ინტერნატი

12. მიქაბერიძე მანანა ტარიელის ასული—ბაკურიანის საშ. სკოლა

13. ბერიძე მანანა აკაკის ასული—ბაკურიანის საშუალო სკოლა

14. ყანჩაველი გელა გიორგის ძე—ბორჯომის პიონერთა სახლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

15. კიკნაძე ქეთევან გიორგის ასული—ბორჯომის პიონერთა სახლი

16. ბალიაშვილი ზურაბ მიხეილის ძე—ახალციხის 1-ლი საშ. სკოლა

17. ზუბაშვილი როლანდი ალექსანდრეს ძე—ახალციხის 1-ლი საშ. სკოლა

18. პეტაშვილი მედეა სიმონის ასული—ახალციხის 1-ლი საშ. სკოლა

19. კაჭკაჭიშვილი სტეფანე ივანეს ძე—ახალციხის 1-ლი საშ. სკოლა

20. საბანიძე შორენა გურგენის ასული—თბილისის მე-10 საშ. სკოლა

21. ქართველიშვილი გულნაზი ლეონტის ასული—ფოთის 1-ლი საშ. სკოლა

22. მიქაძე გიორგი ნოეს ძე—ფოთის მე-2 საშ. სკოლა

23. კუპრაძე თენგიზი ალექსანდრეს ძე—ფოთის საშუალო სკოლა-ინტერნატი

24. ჯალაღანია თეიმურაზი დავითის ძე—ფოთის 1-ლი საშ. სკოლა

25. შეროზია ლეილა აბიკოს ასული—ფოთის მე-6 საშუალო სკოლა

26. გერგაზია ზურაბი ნიკოლოზის ძე—ფოთის სკოლა ინტერნატი

27. ჩუბინიძე გულნარა გიორგის ასული—ფოთის მე-7 საშ. სკოლა

28. მაჭარაძე ნოდარი აკაკის ძე—ფოთის მე-2 საშუალო სკოლა

29: გეთიაშვილი ნაირა ივანეს ასული—გურჯაანი, ჩუმლაყის საშ. სკოლა

30. მოსულიშვილი გივი ვლადიმერის ძე—გურჯაანი, ვეჯინის საშ. სკოლა

31. ქუმბურიძე ტარიელ ალექსანდრეს ძე—ლაგოდეხი, ლელიანის საშ. სკოლა

32. ხეცურიანი ამირან ილოს ძე—ლაგოდეხი, ლელიანის საშ. სკოლა

33. შათირიშვილი მედეა მიხეილის ასული—სამტრედია, საჯავახოს საშ. სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. სიხარულიძე ცილნარა ვარლამის ასული— სამტრედია, საჯავახოს საშ. სკოლა

35. ჭინჭველეიშვილი დარეჯან ილიას ასული—სამტრედია, საჯავახოს საშ. სკოლა

36. ქორიძე დარეჯან კარლოს ასული—სამტრედია, საჯავახოს საშ. სკოლა

37. თარგამაძე ალექსანდრე ნოდარის ძე—სამტრედია, საჯავახოს საშ. სკოლა

38. მიხეილიძე ნუნუ ბუხუტის ასული—ქიათურის მე 3 საშ. სკოლა

39. დოლმაზაშვილი მზია შალვას ასული—თელავი, რუისპირის საშ. სკოლა

40. ნაცარაშვილი ნანი შალვას ასული—თელავი, რუისპირის საშ. სკოლა

41. ქუთათელაძე ზურაბ იურის ძე—თბილისის 1-ლი საშ. სკოლა

41. ახმეტელაშვილი ლერი ელიზბარის ძე—თბილისის 1-ლი საშ. სკოლა

43. მაყაშვილი მალხაზი ალექსანდრეს ძე—თბილისის 1-ლი საშ. სკოლა

44- ნაცვლიშვილი მანანა თეიმურაზის ასული— თბილისის 1-ლი საშ. სკოლა

45. ფანცულაია თეიმურაზ გივის ძე—თბილისის 1-ლი საშ. სკოლა

46. ნარსია ნინო შალვას ასული—თბილისის 1-ლი საშუალო სკოლა

47. ოგანოვა დიანა გიორგის ასული—დუშეთი, ანანურის საშ. სკოლა

48. ციმაკურიძე ლავრენტი შალვას ძე—დუშეთი, ანანურის საშ. სკოლა

48. მამუდაშვილი მზია გიორგის ასული—ახმეტის 1-ლი საშ. სკოლა

50 ქინქლაძე ნათელა გიორგის ასული—ახმეტის 1-ლი საშ. სკოლა

51. უშიკაშვილი მაყვალა შალვას ასული—ახმეტის 1-ლი საშ. სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

52. ვარდოშვილი გიორგი იოსების ძე—თელავის 1-ლი საშ. სკოლა

53. ბახბახაშვილი დარეჯან ივანეს ასული—თელავის მე 2 საშ. სკოლა

54. ხაჩიძე ნაილი ალექსანდრეს ასული—ხაშური, ქვიშხეთის საშ. სკოლა

55. გომარელი მარინე ნიკოლოზის ასული—ხაშური, ქვიშხეთის საშ. სკოლა

56. მანჩხაშვილი მედეა გიორგის ასული—ხაშური, ქვიშხეთის საშ. სკოლა

57. გელაშვილი ნაზი კირილეს ასული—ხაშური, ქვიშხეთის საშ. სკოლა

58. კიკნაძე მარინე ვახტანგის ასული—ხაშური, ქვიშხეთის საშ. სკოლა

59. გოგალაძე ავთანდილ აქვსენტის ძე—ხაშური, ქვიშხეთის საშ. სკოლა

60. ბერიძე ავთანდილ ვალერიანის ძე—ასპინძის საშ. სკოლა

61. კონსტანტინოვი ციალა ვლადიმერის ასული—ასპინძის საშ. სკოლა

62. არუშანოვი მაყვალა არჩილის ასული—თბილისის 65-ე საშ. სკოლა

63. ბუძგულაშვილი გიული ვალერიანის ასული—თბილისის 65-ე საშ. სკოლა

64. ხახვაშვილი ქეთევან იოსების ასული—თბილისის 65-ე საშ. სკოლა

65. ქურდიანი აკაკი ვახტანგის ძე—თბილისის პიონერთა და მოსწ. სასახლე.

ბ) კოლექტიური ნაშრომებისათვის

1. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ილ. ჭავჭავაძის სახ. ყვარლის I-ლი საშ. სკოლა

2. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—გურჯაანის ბაკურციხის საშ. სკოლა

3. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ახმეტის მე-2 საშ. სკოლა

4. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—თელავი, რუისპირის საშ. სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ფოთის პიონერთა პარკი

6. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ფოთის მე-2 საშ. სკოლა

7. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ახალციხის პიონერთა სახლი

8. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ახალციხის სკოლა-ინტერნატი

9. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ახალციხე, მინაძეების 8-წლ. სკოლა

10. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ახალციხის მე-2 საშ. სკოლა

11. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—თბილისის 118-ე სკოლა

12. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—თბილისის მე 7 საშ. სკოლა

13. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ახმეტის პიონერთა და მოსწ. სახლი

14. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—გორის მე-5 საშ. სკოლა

15. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—დილმის საშ. სკოლა

16. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ხაშურის რაიონის ალის საშ. სკოლა

17. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ქუთაისის I-ლი საშ. სკოლა

18. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ლანჩხუთის ქვიანის რვაწ. სკოლა

19. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ქუთაისის 26 ე საშ. სკოლა

20. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ტყიბულის მე-4 საშ. სკოლა

21. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ცაგერი—ალპანის საშ. სკოლა

22. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—ორჯონიკიძის I-ლი საშ. სკოლა

23. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია—სამგორის 8-წლიანი სკოლა

გ) ბუნების ნორჩ მეგობართა II-ე რესპუბლიკურ შეკრებაზე მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იქნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით მასწავლებლები:

1. ბაკურაძე ქეთევან ვასილის ასული—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის პედაგოგი
2. თორაძე ნინო აქვსენტის ასული—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბ. პედაგოგი
3. ტალახაძე ნუნუ—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის პედაგოგი
4. ახვლედიანი კაპიტონ პეტრეს ძე—ქუთაისის I-ლი საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
5. ფრუიძე აბელ ივანეს ძე—ცაგერი, ალპანის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
6. ძოძუაშვილი სონია პარმენის ასული—წყალტუბო, პატრიკეთის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
7. კოკაია ნაზი ფილიპეს ასული—სოხუმის მე-2 სკოლა-ინტერნატის ბიოლოგიის მასწავლებელი
8. მიქაბერიძე ნათელა ლაზარეს ასული—ბაკურიანის საშ. სკოლის უფროსი პ/ხელმძღვანელი
9. ხალვაში ოლია არტემის ასული—ლანჩხუთი, ქვიანის 8-წლ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
10. ბუბაშვილი ქუცა დავითის ასული—ტყიბულის მე-4 საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
11. ხუციშვილი ვლადიმერ დიმიტრის ძე—ლაგოდეხი, ლელიანის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
12. ხორავა ლილი მიხეილის ასული—ფოთის პიონერთა პარკის დირექტორი
13. ჩახუნაშვილი მიხეილ შოთას ძე—ჭიათურის პიონერთა სახლის დირექტორი
14. ლეჟავა პეტრე დიმიტრის ძე—სამტრედია, დიდი ჯიხაიშის საშ. სკოლის დირექტორი
15. ხომერიკი დაცია გრიგოლის ასული—ფოთის II საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
16. ლომიძე მარიამ მიხეილის ასული—ხაშური, ქვიშხეთის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. ფეიქრიშვილი ნინო გრიგოლის ასული—ყვარლის ი. ჭავჭავაძის სახ. I-ლი საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

18. ზერულაშვილი მაყვალა გიორგის ასული—გურჯაანი, ჩუმლაყის საშ. სკოლის პ/ხელ-ი

19. ლუაშვილი გულნარა გიორგის ასული—გურჯაანის პიონერთა სახლის დირექტორი

20. გეგეშიძე ლონგინოზ გიორგის ძე—სამტრედია, საჯავახოს საშ. სკოლის დირექტორი

21. ნადირაძე მარო გიორგის ასული—სამტრედია, საჯავახოს საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

22. შანიძე ლილი დავითის ასული—საჯავახოს საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

23. დარჩია გიორგი შალვას ძე—ფოთის საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი

24. შიოშელი ვალენტინა ბიძინას ასული—ახმეტის პ/სახლის პ/ხელმძღვანელი

25. დავითლოვი ეთერ სიმონის ასული—ახმეტის მე-2 საშ. სკოლის უფროსი პ/ხელმძღვანელი

26. სვანიძე ნანი გრიგოლის ასული—ახმეტის I-ლი საშ. სკოლის უფროსი პ/ხელმძღვანელი

27. ლამბაშიძე დალი ივანეს ასული—ხაშური, ქვიშხეთის საშ. სკოლის უფროსი პ/ხელმძღვანელი

28. ნოზაძე ღვთისო გრიგოლის ძე—ხაშურის, ალის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

29. დიკი ლევან ნიკოლოზის ძე—რუსთავის პიონერთა სახლის ნაკეთობათა წრის ხელმძღვანელი

30. შოშიაშვილი ციალა მიხეილის ასული—თბილისის I-ლი საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

31. ბერულავა ეთერ არტემის ასული—დუშეთი, ანანურის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

32. კოკაია ნაზი ფილიპეს ასული—სოხუმის სკოლა-ინტერნატის ბიოლოგიის მასწავლებელი

33. წიქარიშვილი გრიგოლი არსენის ძე—სამგორის 8-წლიანი სკოლის დირექტორი

34. ახვლედიანი ნაზი ტრიფონის ასული—ფოთის სკოლა-ინტერნატის ბიოლოგიის მასწავლებელი

35. მანჩხაშვილი გიორგი გიორგის ძე—ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშ. სკოლის დირექტორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. ბუნების ნორჩ მეგობართა მესამე რესპუბლიკური შეკრების ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. გულისაშვილი ვასილ ზაქარიას ძე—თბილისის სატყეო ინსტიტუტის დირექტორი, ბუნების ნორჩ მეგობართა რესპუბლიკური საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე—აკადემიკოსი

2. საბაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე—საქ. სსრ აკადემიის ბიოლოგიური განყოფილების გამგე-აკადემიკოსი

3. ჯიქიძე თამარ გრიგოლის ასული—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის გამგე (მდივანი)

4. მაღრიშვილი გიორგი მიხეილის ძე—საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნიერების, პროპაგანდისა და სასოფლო-სამეურნეო განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი

5. შენგელია გრიგოლ ნოეს ძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

6. ნინუა ჯემალ ალექსანდრეს ძე—საქართველოს პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

7. ენუქიძე გალინა პარმენის ასული—საქართველოს სსრ აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი—დოცენტი

8. მათიკაშვილი ვლადიმერ ივანეს ძე—თბილისის სატყეო ინსტიტუტის ტყის კულტურის განყოფილების გამგე

ბუნების ნორჩ მეგობართა მესამე რესპუბლიკური შეკრება ჩატარდეს 1967 წლის ოქტომბერში.

3. საგეგმო საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის 1967 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ბუნების ნორჩ მეგობართა მესამე რესპუბლიკური შეკრებისათვის საჭირო თანხა.

4. აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებების გამგეებმა უზრუნველყონ ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების მე-3 რესპუბლიკური შეკრებისათვის მზადების საქმეში მოსწავლეთა ფართო მასების ჩაბმა, სკო-

ლებთან და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან ბუნების ნორჩ მე-
გობართა სექციების ჩამოყალიბება.

5. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ თვალ-
ყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე ი. ბეროზაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 17/60

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმისა

1967 წლის 30 ივნისი

### ქ. გორის მე-4, მე-6 და მე-10 საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ ქ. გორის მე-4, მე 6 და მე-10 საშუალო სკოლებში გარკვეული მუშაობა ტარდება მოსწავლეთა შორის ფიზიკური აღზრდის საგნის სწავლების ხარისხის ასამაღლებლად და სპორტულ-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

აღნიშნულ სკოლებში ყოველწლიურად სრულდება სპორტსმენ-თანრიგოსანთა, იმშთ და მშთ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების გეგმა-ვალდებულებები. სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა კადრებით.

ამასთან ერთად შემოწმებამ გამოავლინა რიგი ნაკლოვანებები, რასაც ადგილი აქვს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საგნის სწავლებისა და კლასგარეშე მუშაობის საქმეში. მე-10 საშ. სკოლაში (დირ. ამხ. კლიმიაშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებლები: ცხოვრებაძე და ასკილაშვილი) ტანვარჯიშული დარბაზის იატაკი ალაგ-ალაგ ჩამტვრეულია, არ არის შექმნილი სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, სკოლის შენობის გაფართოების გამო ლიკვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირებულ იქნა მძლეოსნობის სექტორები, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, რომელთა აღდგენისათვის ჯერჯერობით ზომები არ არის მიღებული.

მე-4 საშ. სკოლის (ყოფილი დირექტორი ამხ. სავანელი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ამხ. ქუმელაშვილი) კალათბურთის მოედანზე ქვანახშირი ყრია და ირგვლივ ანტისანიტარული მდგომარეობაა. სკოლაში არ ტარდება პროფილაქტიკური ტანვარჯიში, არ არის რეკორდების ცხრილი, გაკვეთილის ჩატარებისას ადგილი აქვს მეთოდურ შეცდომებს და ა. შ.

მე-6 საშ. სკოლა (დირექტორი ამხ. კუთხაშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ამხ. ამბროლაძე) ჩაბმულია საკავშირო დათვალიერებაში, მაგრამ აქაც არ არის შემოღებული პროფილაქტიკური ტანვარჯიში. დაწყებით კლასებში ფიზაღზრდის გაკვეთილები ტარდება დაბალ დონეზე და სხვ.

არცერთ სკოლაში არ არის შემოღებული პრაქტიკაში ღია გაკვეთილების ჩატარება; დაწყებით კლასებში ფიზაღზრდის საგანს ასწავლიან ძირითადად არასპეციალისტები. ზოგიერთ შემთხვევაში ფიზაღზრდის გაკვეთილები ამ საგანში გადაქცეულია დაწყებითი კლასების მასწავლებელთა განაკვეთის შესავსებად, რის შედეგად სპეციალისტებს შემდგომ კლასებში საპროგრამო მასალის გავლა უხდებათ ხელახლა. სუსტია კლასგარეშე მუშაობაც. სპორტულ სექციებში მოსწავლეთა ჩაბმა არ ატარებს მასობრივ ხასიათს. დაბალია მოსწავლე სპორტსმენთა მიერ ნაჩვენები სპორტული ტექნიკური მაჩვენებლები.

გორის განათლების განყოფილება (გამგე ამხ. ზექალაშვილი) და სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის გორის საქალაქო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. გ. მეყანწიშვილი). ნაკლებ ყურადღებას უთმობენ და არ ახორციელებენ სათანადო კონტროლს სკოლებში ფიზაღზრდის საგნის სწავლების ხარისხზე და კლასგარეშე მუშაობაზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ე ნ

1. დაევალოს ქ. გორის მე-4, მე-6 და მე-10 საშუალო სკოლების დირექტორებს ამხ. ამხ. გიგაიას, კლიმიაშვილს და კუთხე-

ლაშვილს მიიღონ ყოველი ზომა მომავალი სასწავლო წლის დასაწყისიდან ფიზაღზრდის საგნის სწავლების გასაუმჯობესებლად და მოსწავლეთა შორის მასობრივ-სპორტული მუშაობის გასაძლიერებლად, რისთვისაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სრულ წესრიგში მოიყვანონ და აღჭურვონ საჭირო ინვენტარით არსებული სპორტული ბაზები და უზრუნველყონ სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ფიზაღზრდის გაკვეთილების ნორმალურად ჩასატარებლად;

ბ) რეგულარულად დაესწრონ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს და უზრუნველყონ ფიზაღზრდის მასწავლებლების მიერ სასწავლო პროგრამის მოთხოვნათა აუცილებელი შესრულება; სისტემატურად განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის საკითხები და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) მოსთხოვონ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს მეცადინეობაზე გეგმა-კონსპექტი და როგორც წესი გაკვეთილის მიზნისა და ამოცანის აუცილებელი შესრულება;

დ) მიიღონ ყველა ზომა ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რისთვისაც სისტემატურად ჩაატარონ ღია გაკვეთილები, მოისმინონ მასწავლებელთა ანგარიში პედსაბჭოს სხდომებზე და მიავლინონ მასწავლებლები სემინარებზე, კონფერენციებზე და ა. შ.;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას და როგორც წესი ამ საგნის სწავლებაში ჩააბან საქმის მცოდნე სპეციალისტები;

ვ) რეგულარულად ჩაატარონ პროფილაქტიკური ტანვარჯიში (სწავლის დაწყებამდე ტანვარჯიში და სწავლების პროცესში ფიზკულტურული პაუზა), წინასწარ შედგენილ ვარჯიშთა კომპლექსების გამოყენებით;

ზ) ორგანიზაციულად განამტკიცონ სასკოლო ფიზიკური კულტურის კოლექტივები, გადააქციონ ისინი მოსწავლეთა სპორტული და მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის კერად.

2. დაევალოს ფიზაღზრდის მასწავლებლებს ამხ. ამხ. ცხოვრებაძეს, ასკილაშვილს, ქუმელაშვილს და ამბროლაძეს: გულმოდგინედ მოემზადონ ცალკეული გაკვეთილების ჩატარების წინ, გამოიყენონ ყველა საშუალებები გაკვეთილთა მაღალ მეთოდურ დონეზე ჩასატარებლად და აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მოსწავლეთა შორის

მასობრივ-სპორტული მუშაობის საქმეში. ამასთან გაფრთხილებულ იქნან ზემოხსენებული მასწავლებლები. რომ თუ ისინი არ გარ-დაქმნიან მუშაობას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, მათ მიმართ მიღებული იქნება სათანადო ადმინისტრაციული ზომები.

3. დაევალოს ქ. გორის განათლების განყოფილებას (ამხ. ზექალაშვილი) და სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს (ამხ. მცყანწიშვილი) გაატარონ სათანადო ღონისძიებები ქ. გორის სკოლებში ფიზიკური აღზრდის საგნის სწავლების და კლასგარეშე მუშაობის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც შეამოწმონ 1967—68 სასწავლო წელს ყველა სკოლა და მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

4. დაევალოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას (ამხ. ბაცელაშვილი) და საქართველოს სპორტ-კავშირის მოსწავლე ახალგაზრდობისა და სტუდენტთა განყოფილებას (ამხ. დოკვაძე) სისტემატურად შეამოწმონ ფიზიკური აღზრდის საგნის სწავლების მდგომარეობა რესპუბლიკურ სკოლებში, აღმოუჩინონ მათ მეთოდური დახმარება და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინონ წინადადებანი სამინისტროს კოლეგიასა და სპორტკავშირის პრეზიდიუმზე განსახილველად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
უშ. ოზოლაძე

საქართველოს სსრ სპორტულ
საზოგადოებათა და ორგანი-
ზაციების კავშირის თავ-რე
გ. სიხარულიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 1 ივლისის ბრძანება № 863

## სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური უზრუნველყოფისა და სამეურნეო მომსახურების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

რესპუბლიკის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური უზრუნველყოფისა და სამეურნეო მომსახურების მდგომარეობის შემოწმებით, რაც საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ იქნა ჩატარებული, დადასტურდა, რომ უკანასკნელ ხანს დასახელებული დაწესებულებების მატერიალური უზრუნველყოფა და სამეურნეო მომსახურება მკვეთრად გაუმჯობესდა. შექმნილია საამისო პირობები იმისათვის, რომ ამ დაწესებულებათა მოთხოვნები კვების პროდუქტებზე, ინვენტარზე, მოწყობილობებზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე მთლიანად იქნეს დაკმაყოფილებული.

ამასთან ერთად, მთელ რიგ სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში მატერიალური უზრუნველყოფისა და სამეურნეო მომსახურების საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.

გუმათის დამხმარე სკოლა-ინტერნატის (დირექტორი დ. ნიკოლაძე) აღმზრდელებს 1966 წლის თებერვლიდან დეკემბრამდე სრულებით არ მიუღიათ რძე. 14,3 ტონა კარტოფილის ნაცვლად მიღებული აქვთ 8,3 ტონა ანუ 6 ტონით ნაკლები, 22900 ცალი კვერცხის ნაცვლად—6500 ცალი, 16400 ცალით ნაკლები. ასევე დიდი რაოდენობით არ მიუღია ინტერნატს მაკარონი, ვერმიშელი, თევზი, შაქარი, ბოსტნეული, ხილი და სხვ. ხსენებული პროდუქტების მიუღებლობის გამო სკოლა-ინტერნატს 1966 წლის განმავ-

ლობაში აუთვისებელი დარჩა 1500 მანეთი. არარეგულარულად მარაგდებოდა კვების პროდუქტებით ახალციხის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ვ. ფოცხვერაშვილი), რის გამო აღსაზრდელებს დიდი რაოდენობით დააკლდათ კარტოფილი. საბავშვო დაწესებულებების კვების პროდუქტებით უზრუნველყოფისა და სამეურნეო მომსახურების საქმეში სერიოზული დარღვევებია აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის და ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, თეთრიწყაროს, გეგეჭკორის, დუშეთის, მცხეთის, ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონებში.

ზოგიერთი განათლების განყოფილება ნაცვლად იმისა, რომ გადამჭრელ ზომებს ღებულობდეს მომარაგების გასაუმჯობესებლად, არასწორ ინფორმაციას აწვდის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საბავშვო დაწესებულებების მომარაგების შესახებ. ასე, მაგალითად, ქ. რუსთავის განათლების განყოფილება 1966 წლის განმავლობაში ყოველთვიურად უგზავნიდა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ოფიციალურ ცნობებს იმის შესახებ, რომ საბავშვო დაწესებულებები უზრუნველყოფილნი არიან კვების პროდუქტებით და რომ განყოფილებას არა აქვს პრეტენზია სავაჭრო დაწესებულებებისადმი. ასევე იქცეოდა ქ. სოხუმის განათლების განყოფილებაც.

თბილისის კალინინის რაიონში საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებს, აგრეთვე ორჯონიკიძის რაიონის №№ 9, 47, 97 საბავშვო ბაღებს 1966 წელს არც ერთხელ არ მიუღიათ თევზეული, არ აუთვისებიათ სხვა საჭირო პროდუქტების ნაწილი.

ზოგიერთ საბავშვო ბაღში ყურადღება არ ექცევა კვების პროდუქტების ნორმის ბავშვებამდე ზუსტად დაყვანის საქმეს. ქ. თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის № 8 საბავშვო ბაღის სამზარეულოს (გამგე ა. კანდელაკი) შემოწმების დღეს ბავშვზე გასაცემ კანფეტს დააკლდა 1,1 კგ, ხოლო საწყობში (მნე—ს. ბარაბაძე) 3,5 კგ კარაქი, 1,9 კგ შაქრის ფხვნილი, 134 ცალი კვერცხი, 0,6 კგ კანფეტი. ქ. თბილისის № 47 საბავშვო ბაღში (გამგე ნ. ფარცხალაძე) მ/წლის 29 აპრილს აღსაზრდელებს სადილზე დააკლეს 3,3 კგ ხორცი. ამავე ბაღში ხუთი თანამშრომელი არ იხდის კვების პროდუქტების მთლიან ღირებულებას და იკვებება ბავშვების ხარჯზე.

ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეები სუსტად სწავლობენ ქვემდებარე საბავშვო დაწესებულებებში რბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და მაგარი ინვენტარის, თეთრეულის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მომარაგების საქმეს. არარაციონალურად იყენებენ გამოყოფილ თანხებს, რის გამოც სკოლა-ინტერნატები და ბაგა-ბაღები, განიცდიან ზემოაღნიშნულ ინვენტარის ნაკლებობას,

სოფ. გლდანის რვაწლიან სკოლა-ინტერნატს (დირექტორი ა. წერეთელი) 340 ცალი პირსახოცი აღმოაჩნდა, მაშინ როდესაც ინტერნატში 390 აღსაზრდელი ირიცხება; აღსაზრდელებს სრულებით არ გააჩნიათ ცხვირსახოცი, ქუდი, ყელსახვევი, ხელთათმანი და სხვ. ამავე დროს 1966 წელს ინვენტარის შესაძენად გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელი დარჩა სულ 24300 მანეთი, მათ შორის რბილი ინვენტარის შესაძენად და სამეურნეო ხარჯებისათვის გათვალისწინებული თანხებიდან—5200 მანეთი.

კოჯრის მესამე საბავშვო სახლს (დირექტორი ე. ჯაფარიძე) კუთვნილ ნორმაზე მეტი რაოდენობით აქვს 138 ცალი ზეწარი და 100 ცალი საბნის გამოსაკვრებელი, ხოლო შემოწმების დღეს აღსაზრდელებს საწოლებზე ჭუჭყიანი და დახეული ზეწრები და საბნის გამოსაკვრებლები ჰქონდათ. აღსაზრდელებს აკლია პალტოები, კოსტუმები, ცხვირსახოცები, სვიტრები და სხვ. ძალზე ცუდად არის დაყენებული თეთრეულის რეცხვის საქმე. არარეგულარულად ხდება ლოგინის მოწყობილობისა და თეთრეულის გამოცვლა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები ქვემდებარე საბავშვო დაწესებულებათა კვების პროდუქტებით, რბილი და მაგარი ინვენტარით მომარაგებისა და სამეურნეო საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა დაუყონებლივ აღმოსაფხვრელად;

დაევალოს მათვე მტკიცე წესრიგი დაამყარონ მომარაგების საქმეში რესპუბლიკური ორგანიზაციებისათვის ცნობების წარდგენის დარგში და არ დაუშვან ამ მხრივ უზუსტობანი.

2. ზემდგომ ორგანოებში კვების პროდუქტებით მომარაგების შესახებ, არასწორი ცნობების წარდგენისათვის ქ. რუსთავისა და სოხუმის განათლების განყოფილების გამგეებს ამხ. ამხ. ს. რონაძე

და ლ. უჩანეიშვილი მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი, რომ მსგავსი მოქმედების განმეორების შემთხვევაში დასჯილი იქნებიან სასტიკად.

3. სოფ. გლდანის ყოფ. რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის, ამჟამად რესპუბლიკის სპორტული № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. ა. წერეთელს აღსაზრდელებისათვის ნორმით კუთვნილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელისა და სხვა რბილი ინვენტარის გაუცემლობისა და ამ დანიშნულებით გამოყოფილი თანხების აუთვისებლობისათვის გამოეცხადოს საყვედური;

4. კოჯრის მესამე საბავშვო სახლის დირექტორს ამხ. ე. ჯაფარიძეს აღსაზრდელებზე არასათანადო ზრუნვისა და დახეული და ჭუჭყიანი თეთრეულის ხმარებაში დაშვებისათვის გამოეცხადოს საყვედური;

5. აღსაზრდელებზე ნორმით კუთვნილი კვების პროდუქტების გაუცემლობისა და სამეურნეო საქმიანობაში დაშვებულ ნაკლოვანებებისათვის გაფრთხილებული იქნას ახალციხის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის დირექტორი ამხ. ვ. ფოცხვერაშვილი.

6. ნორმით კუთვნილი პროდუქტების აღსაზრდელებზე გაუცემლობისათვის და სამეურნეო საქმიანობაზე სუსტი კონტროლის დაწესებისათვის ქ. თბილისის 47-ე საბავშვო ბაღის გამგეს ნ. ფერცხალაძეს გამოეცხადოს საყვედური.

7. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინაშე აბრეშუმის ფაბრიკის № 8 საბავშვო ბაღში დაშვებული დარღვევებისათვის დამნაშავე პირების მიმართ საჭირო ზომების მიღების შესახებ.

8. დაევალოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორებს ყოველი კვარტალის დამთავრების შემდეგ სასურსათო ფონდების ათვისების შედეგების შესახებ მასალები წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ხოლო სხვა საბავშვო დაწესებულებებმა—განათლების განყოფილებებს;

9. საბავშვო დაწესებულებებს აეკრძალოთ ძვირად ღირებული (შოკოლადი, კონსერვი, მურაბა და სხვ.) პროდუქტების იძენა;

10. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოში (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) და სკოლამდელი აღზრდის განყოფილებაში

(ამხ. გ. აბდუშელიშვილი) მტკიცე კონტროლი დააწესონ ამ ბრძანე-
ნების შესრულებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 30 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 1 ივლისის ბრძანება № 864

### ქობულეთისა და პატარა ცემის სანატორიული სატყეო სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით გამოირკვა, რომ ქობულეთისა და პატარა ცემის სანატორიულ სატყეო სკოლებში სწავლა-აღზრდისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მოწესრიგების მიზნით მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული. ჯეროვან ნიადაგზეა დაყენებული მოსწავლეთა შერჩევისა და კლასების მიხედვით დაკომპლექტების საქმე, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სისტემატურად იხილება ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობა, მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმების შედეგები და სხვა.

წესრიგშია მოყვანილი ქობულეთის სანატორიული სატყეო სკოლის საძინებელი კორპუსი, კეთილმოწყობილია კვების ბლოკი, ეზო შემოღობილია და მოწყობილია ღია ესტრადა 200 ბავშვის ადგილით, სააღმზრდელო ჯგუფებისათვის მოწყობილია ვერანდები, სადაც ეწყობა საუბრები, ეზო გამწვანებულია და გაშენებულია ყვავილნარი. ეზოში შექმნილია პირობები ბავშვების სუფთა ჰაერზე დასვენებისათვის.

გაუმჯობესებულია დირექტორების ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობაზე; ქობულეთის სანატორიულ სატყეო სკოლის დირექტორს გ. კვაჭაძეს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მოსმენილი აქვს 45 გაკვეთილი, იგი დასწრებია სააღმზრდელო მუშაობას 31-ჯერ; დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში მ. ბეჟანიძეს მოსმენილი აქვს 52 გაკვეთილი და შემოწმებული აქვს მუშაობა დღის მეორე ნახევარში 22-ჯერ.

ქობულეთისა და პატარა ცემის სანატორიული სატყეო სკოლების წლიური, პედაგოგიური საბჭოს ნახევარწლიური, აღმზრდელ-

ლთა და კლასის ხელმძღვანელთა მეოთხედური გეგმები დამაკმაყოფილებლადაა შედგენილი, გეგმებით გათვალისწინებული საკითხები შესრულებულია კალენდარულ ვადებში.

მიუხედავად ამისა, ქობულეთისა და პატარა ცემის სანატორიული სატყეო სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს:

დაბალია მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა, არ ექცევა სათანადო ყურადღება მოსწავლეთა საშინაო დავალების შესრულების შემოწმებას. პატარა ცემის სანატორიული სკოლის დირექტორს ამხ. დ. ჭავჭანიძეს მიმდინარე სასწავლო წელს მოსმენილი აქვს მხოლოდ 15 გაკვეთილი, გაკვეთილების ანალიზი არასრულყოფილია; ამავე სანატორიულ სკოლაში გაძლიერებული კვება არ ეძლევა ფიზიკურად სუსტ მოსწავლეებს, მედიკამენტების ხარჯვა არ ხდება დადგენილი წესის მიხედვით და სხვ. არაა სწორად შედგენილი გაკვეთილების ცხრილი; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საწრეო სპორტულ მუშაობას.

დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე: მ/წლის I მეოთხედში ქობულეთის სანატორიულ სატყეო სკოლაში შეფასებულ 138 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 47, II მეოთხედში 116-დან—28, III მეოთხედში 159-დან—38, ხოლო IV მეოთხედში 195-დან—31 აღსაზრდელი, მათემატიკის საკონტროლო წერის დროს; ამ სანატორიულ სკოლაში VI კლასის 29 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო 23-მა მოსწავლემ.

ზოგიერთი განათლების განყოფილება არ გზავნის სანატორიულ სკოლაში ბავშვებს მიცემული გეგმის მიხედვით, 1966—1967 სასწავლო წლის 1 ნაკადში არ გამოცხადებულა მარნეულის რაიონიდან 6 მოსწავლე, ხაშურიდან 6, წალენჯიხიდან 3, გეგეჭკორიდან—4, ბორჯომიდან—9, გორის რაიონიდან—3, ცხაკაიადან—2, ზუგდიდიდან—4, და ა. შ. ზოგჯერ სკოლა-სანატორიუმში იგზავნებიან ისეთებიც, რომლებიც სკოლებში არ სწავლობენ. სანატორიულ სკოლაში გაგზავნილ მოსწავლეებს არ ატანენ სახელმძღვანელოებსა და ტანსაცმელს, რაც დიდ სიძნელეებს ქმნის და უარყოფით გავლენას ახდენს მუშაობაზე.

ქობულეთისა და პატარა ცემის სანატორიულ სატყეო სკოლებში დღემდის არ არის გამოყენებული სააღმზრდელო ჟურნალები, აღმზრდელები მუშაობენ მოძველებული გეგმების მიხედვით. ზოგიერთი მასწავლებელი უგულებელყოფს გადაცემულ საპროგრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო მასალისა და საკონტროლო წერის ნიშნების ჟურნალებში შეტანას, გულდასმით არ ასწორებს მოსწავლეთა საკლასო და საშინაო წერითი ნამუშევრებს. სუსტია მასწავლებელთა და აღმზრდელთა კავშირი მშობლებთან. არაა მოწყობილი სასწავლო კაბინეტები, რის გამო სწავლება თვალსაჩინოების გარეშე მიმდინარეობს. არ მუშაობენ მზრუნველთა საბჭოები და საშეფო ორგანიზაციები. დაბალ დონეზე დგას პატარა ცემში პიონერთა და ოქტომბრელთა შორის მუშაობა. არ აქვთ საბჭოებისა და რაზმების მუშაობის ამსახველი ალბომები.

„საქკურორტვაჭრობის" ქობულეთის განყოფილებამ 1966 წლის მეორე ნახევარში აღსაზრდელებს დააკლო: კარტოფილი 1127 კგ, ბოსტნეული 376 კგ, ახალი ხილი 878 კგ, კვერცხი 3558 ცალი. ანალოგიური მდგომარეობაა 1967 წლის 1 კვარტალშიც. ასევე პატარა ცემის სატყეო სკოლას 1966 წლის 1 ივლისიდან 1 იანვრამდე დააკლდა 15614 ცალი კვერცხი; 7215 კგ კარტოფილი, 3564 ლიტრი რძე, 1782 კგ თევზი, 1782 კგ ხაჭო და სხვ.

პატარა ცემის სატყეო სკოლის დირექტორმა დ. ჭავჭანიძემ და ბუღალტერმა ვ. ძიძიგურმა ვერ უზრუნველყვეს 1966 წლისათვის გამოყოფილი თანხების დანიშნულებით ხარჯვა, აუთვისებელი დარჩა 3600 მანეთი, საგრძნობლადაა გაზრდილი დებიტორული დავალიანებაც—მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის დებიტორული დავალიანება შეადგენდა 1334 მანეთს, ხოლო ამავე წლის 1-ელ აპრილისათვის—2229 მანეთს. ამავე ინტერნატში დარღვეულია შეთავსებით მუშაობის არსებული წესი: ექიმი ნ. გელაშვილი ღებულობს 1,5 შტატის ხელფასს, სასურსათო საწყობის გამგე მ. კურტანიძე, პურის მცხობელი ნ. რევაზიშვილი დამატებით ღებულობენ 0,5—0,5 შტატის ხელფასს, ხოლო ღამის ძიძად გაფორმებული გ. გუგავა ასრულებს მოლარისა და საქმისმწარმოებლის მოვალეობას. აღსაზრდელებზე პროდუქტების უყაირათო ხარჯვის შედეგად გადახარჯულია 795 მანეთი. არ ექცევა საჭირო ყურადღება საბუთების გაფორმებას, მენიუ—მოთხოვნილებაში არაა გამოყვანილი გახარჯული კვების ფასი, არ ხდება სასურსათო საწყობის აღწერა და ფაქტიურ ნაშთთან შედარება. სრულყოფილად არაა ჩატარებული 1966 წლის ინვენტარიზაცია. ავტომანქანა შეკეთებულია ნაღდ ანგარიშზე. სამეურნეო ნაწილის გამგეზე, რომელიც განთავისუფლებულია მ/წლის 23 თებერვალს—ირიცხება 47 მანეთის დავალიანე-

ბა. მეთევთრეულე ნ. სალუქვაძეს აღმოაჩნდა 9 მან. და 16 მანეთის ზედმეტობა და 8 მანეთის დანაკლისი, სასურსათო საწყობის გამგეს ნ. კურტანიძეს კი 6 მან. ზედმეტობა და 5 მანეთის პროდუქტების დანაკლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავარიულ მდგომარეობაშია პატარა ცემის სანატორიული სკოლის მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. პატარა ცემისა და ქობულეთის სანატორიული სატყეო სკოლების დირექტორებმა (დ. ჭავჭანიძე, გ. კვაჭაძე):

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობაზე ხელმძღვანელობა და კონტროლი, მოსმენილი გაკვეთილებისა და სააღმზრდელო მუშაობაში შემჩნეული ნაკლოვანებები გახადონ პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგნად და უზრუნველყონ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება;

ბ) მიაღწიონ იმას, რომ მასწავლებლები და აღმზრდელები ყოველდღიურად გეგმავდნენ თავიანთ მუშაობას, აღმზრდელები სისტემატურად ეცნობოდნენ საპროგრამო მასალას და და იყენებდნენ მას ყოველდღიურ მუშაობაში;

გ) მოაწყონ სასწავლო კაბინეტები და უზრუნველყონ სწავლებაში თვალსაჩინოების ფართოდ გამოყენება, ყურადღება მიაქციონ საპროგრამო მასალის თანმიმდევრულ შესრულებას, გადაცემული მასალის მაღალ ხარისხს და წერითი ნაშრომების გულდასმით გასწორებას; წერითი ნიშნები, როგორც წესი, იწერებოდეს საკლასო ჟურნალებში; არ დაუშვან მეოთხედის ბოლოს მოსწავლის შეფასება მიმდინარე ნიშნების გარეშე;

დ) ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა წერით და ზეპირი მეტყველების კულტურის ამაღლებას, უზრუნველყონ მოსწავლეები სახელმძღვანელოებითა და თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით;

ე) მიიღონ გადამჭრელი ზომები მოსწავლეთა უზრუნველსაყოფად ნორმით გათვალისწინებული კვების პროდუქტებით;

ვ) არ დაუშვან დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხების გადახარჯვა და აუთვისებლობა, მიიღონ ზომები დებიტორული დავალიანების სალიკვიდაციოდ; აკრძალონ უკანონო შეთავსებები და ნაღდ ანგარიშზე რაიმე სახის სამუშაოების ჩატარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ შეისწავლოს პატარა ცემის სანატორიული სკოლის მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების შენობათა მდგომარეობა და ქობულეთის სანატორიული სკოლისათვის სასკოლო კორპუსის მშენებლობის დაწყების საკითხი და დასკვნა წარმოუდგინოს სამინისტროს 20 აგვისტომდე.

3. საბუღალტრო საბუთების სათანადოდ გაუფორმებლობის, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხების გადახარჯვა-აუთვისებლობისა და დებიტორულ დავალიანების ზრდის გამო პატარა ცემის სანატორიული სატყეო სკოლის დირექტორს დ. ჭავ-ხაძესა და ბუღალტერს თ. ძიძიგურს გამოეცხადოთ საყვედური.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 1 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 3 ივლისის ბრძანება № 879

### ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების პედაგოგიურ კაბინეტთან არსებული საქალაქო ფილმოტეკის ბაზაზე ქ. თბილისის განათლების განყოფილების ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების მეთოდური კაბინეტის ორგანიზაციის შესახებ

§ 1

სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა უკეთ გამოყენების მიზნით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 13 იანვრის № 343 დადგენილების შესაბამისად ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების პედაგოგიურ კაბინეტთან არსებული საქალაქო ფილმოტეკის ბაზაზე ორგანიზებულ იქნეს ქ. თბილისის განათლების განყოფილების ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების მეთოდური კაბინეტი.

§ 2

ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების პედაგოგიურ კაბინეტთან არსებული ფილმოტეკის ბაზაზე თბილისის განათლების განყოფილების ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების მეთოდური კაბინეტის ორგანიზაციასთან დაკავშირებით, ამ მეთოდური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაბინეტის საშტატო განრიგი და ხელფასის განაკვეთები დამტკიც-დეს შემდეგი სახით:

| № | თანამდებობა | საშტატო ერთეულის რაოდ. | ხელფასის განაკვეთი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | კაბინეტის გამგე (იგივე მეთოდისტი) | 1 | 130 | ხელფასის განაკვეთი 1964 წ. 15/VII № 620 დადგენილე-ბის შესაბამისად. |
| 2 | მეთოდისტი ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების დარგში . . | 2 | | |
| 3 | კინოფილმების მიმღები და გამცემი . . | 1 | 70 | |
| 4 | ფილმების შემმოწმებელი მონტაჟისტი . | 1 | 70 | |
| 5 | კინომექანიკოსი . . . . . . . . . . | 1 | 70 | |
| 6 | დამლაგებელი . . . . . . . . . . . | 0,5 | 42—50 | |
| 7 | მოანგარიშე-საქმის მწარმოებელი . . . | 1 | 50 | |
| | ს უ ლ . . | 7,5 საშტატო ერთეული | | |

§ 3

დაწესდეს, რომ დასახელებული მეთოდური კაბინეტი მუშაო-ბას აწარმოებს ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების უშუალო ხელ-მძღვანელობით და ამ განყოფილების მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

§ 4

ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ მიმდინარე წლის 25 ივლი-სამდე წარმოადგინოს დასამტკიცებლად კაბინეტის დებულების პროექტი და წინადადება ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კა-ბინეტის შესაფერი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და-კომპლექტების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 5

საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) უზრუნველყოს კაბინეტის დაფინანსება 1967 წლის ბიუჯეტის შესაბამისად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 11 ივლისის ბრძანება № 902

### ნორჩ ნატურალისტთა I-ლი დაუსწრებელი რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-2 კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

კონკურსის ჩატარებამ ხელი შეუწყო ბუნების შესწავლით მოსწავლეთა მასობრივ დაინტერესებას, მათში ბუნების მოვლენებზე დაკვირვების, კოლექციების, ჰერბარიუმების შეგროვების და დამუშავების ჩვევების გამომუშავებას.

ნორჩ ნატურალისტთა პირველ დაუსწრებელ რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 25 რაიონისა და ქ. თბილისის 1000-ზე მეტმა მოსწავლემ. შეკრებაზე საუკეთესო ნამუშევრები წარმოადგინა ჭიათურის I-ლი, მე-2, მე-3, მე-5; ტყიბულის რაიონის სოფ. ნიგოზეთის, ორპირის, ხრეითის, ახმეტის მე-2; დუშეთის საშუალო, ფასანაურის, ჭილუტის, ჭოპორტის; ახალციხის პირველი; საგარეჯოს რაიონის გომბორის, ყანდაურის საშუალო, ნინოწმინდისა და გიორგიწმინდის 8 წლიანმა სკოლებმა.

აღსანიშნავია თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის კარგი მუშაობა ნორჩ ნატურალისტთა I-ლ რესპუბლიკურ დაუსწრებელ კონკურსში ნატურალისტთა მასობრივად ჩაბმისა და პირველი რესპუბლიკური დაუსწრებელი კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებაში.

**ნორჩ ნატურალისტთა I-ლ რესპუბლიკურ დაუსწრებელ კონკურსზე საუკეთესო ექსპონატების წარმოდგენისათვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომებით:**

1. ხარშილაძე ზურაბ რუბენის ძე—ჭიათურის მე-2 საშ. სკოლა
2. ბაბილუა რუსუდან ამირანის ასული—ფოთის მე-5 საშ. სკოლა

3. ქვანია ნუგზარ ინოკენტის ძე—ფოთის მე-5 საშ. სკოლა

4. ჩუბინიშვილი ანნა მიხეილის ასული—საგარეჯოს, გომბორის საშ. სკოლა

5. არაბული ნათელა შალვას ასული—საგარეჯო, გომბორის საშ. სკოლა

6. მაკაროვა თამარი იაგორის ასული—საგარეჯო, გომბორის საშ. სკოლა

7. კოზლოვსკაია ელენე ალექსანდრეს ასული—საგარეჯო, გომბორის საშ. სკოლა

8. ხალილოვა დილარა ხალილას ასული—საგარეჯო, გომბორის საშ. სკოლა

9. ფეიქრიშვილი თამარ ბექანის ასული—დუშეთი, ჯილეხის საშ. სკოლა

10. ობოლაძე რუსუდან დავითის ასული—ტყიბულის I საშ. სკოლა

11. მამუკაშვილი გივი ლევანის ძე—ახალციხის I-ლი საშ. სკოლა

12. იაძე სვეტლანა შოთას ასული—ახალციხის I-ლი საშ. სკოლა

13. სამსონიძე ნათელა რომანოზის ასული—ახალციხის I-ლი საშ. სკოლა

14. ჩილინგარაშვილი დალი სიმონის ასული—ახალციხის I-ლი საშ. სკოლა

15. ალლემაშვილი რომან ნიკოლოზის ძე—ახალციხის I-ლი საშ. სკოლა

16. გელაშვილი ნათელა სევერიანეს ასული—ახალციხის I ლი საშ. სკოლა

17. საანიშვილი სიმონ მიხეილის ძე—ახალციხის I-ლი საშ. სკოლა

18. კუბლაშვილი ბელა ვლადიმერის ასული—ტყიბული, ხრესილის საშ. სკოლა

19. ობოლაძე დარეჯან აკაკის ასული—ტყიბული, ხრესილის საშ. სკოლა

20. გველესიანი მანანა უშანგის ასული—ვალეს I-ლი საშ. სკოლა

21. აბესაძე მედეა გიორგის ასული—ქუთაისის 22-ე საშ. სკოლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

22. ონიანი მანანა დადაშის ასული—ამბროლაურის პიონერთა სახლი

23. ჯანგირაშვილი თინა ვალერიანის ასული—დუშეთი, კომპორტის საშ. სკოლა

24. სეხნიაშვილი ასმათი ივანეს ასული—თელავის მე-4 საშ. სკოლა

25. დოლბაია ნუნუ ალექსანდრეს ასული—ფოთის მე-9 საშ. სკოლა

26. სირაძე ნათელა ალექსანდრეს ასული—ფოთის მე-9 საშ. სკოლა

27. აბულაძე ინგული უშანგის ასული—ტყიბული, საწირის საშ. სკოლა

28. მერკვილაძე მერაბი გრიგოლის ძე—ტყიბული, ორპირის საშ. სკოლა

29. მერაძე დალი გიორგის ასული—ჭიათურის I ლი საშ. სკოლა

30. ხუჭუა მანანა მიხეილის ასული—ჭიათურის I-ლი საშ. სკოლა

31. ნასარიძე ლუდა დავითის ასული—ჭიათურის I-ლი საშ. სკოლა

32. თაბაგარი ავთანდილ რეზოს ძე—ჭიათურის მე 3 საშ. სკოლა

33. სოფრომაძე დავით ივანეს ძე—ჭიათურის მე-3 საშ. სკოლა

34. ბაქრაძე დალი გიორგის ასული—ჭიათურის I-ლი საშ. სკოლა

35. პაპიძე ეთერი ირაკლის ასული—ჭიათურა, ნიგოზეთის საშ. სკოლა

36. ლაბაძე თამარი გიორგის ასული—ჭიათურა, ნიგოზეთის საშ. სკოლა

37. ლაბაძე მერაბ ვლადიმერის ძე—ჭიათურა, ნიგოზეთის საშ. სკოლა

38. ცაგურია ნუგზარ ნოდარის ძე—ჭიათურა, მე-2 საშ. სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

39. მუმლაძე დავით ვახტანგის ძე—თბილისის მე-11 საშ. სკოლა

40. ბერაია თამაზი შოთას ძე—სამტრედია, საჯავახოს საშ. სკოლა

41. ჯიქიძე რევაზ ბიჭიკოს ძე—თბილისის 39-ე საშ. სკოლა

42. ბიძინაშვილი გელა გარსევანის ასული—ახმეტის მე-2 საშ. სკოლა

43. ბულათარიშვილი ვლადიმერ რევაზის ძე—ახმეტის მე-2 საშ. სკოლა

44. ბულათარიშვილი იზა ივანეს ასული—ახმეტის მე-2 საშ. სკოლა

45. ძებნიაური ბეგლარ ხვთისოს ძე—ახმეტის პიონერთა სახლი

46. იოსებაშვილი მიხეილ ავთანდილის ძე—ახმეტის მე-2 საშ. სკოლა

47. ოტიაშვილი მალხაზ ივანეს ძე—ახმეტის პიონერთა სახლი

48. ურბენაშვილი თინა გიორგის ასული—ახმეტის პიონერთა სახლი

49. გოცირიძე მედეა გრიგოლის ასული—ახმეტის პიონერთა სახლი

50. ჯიქიძე თამარ შოთას ასული—თბილისის 24-ე საშ. სკოლა

51. კალანტარია ზაური აპოლონის ძე—თბილისის 24-ე საშ. სკოლა

52. ნაცვლიშვილი პაატა ვახტანგის ასული—თბილისის I-ლი საშ. სკოლა

53. ბეტონიძე ლილი ოთარის ასული—თბილისის ბორის ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის ნორჩი ზოოლოგი.

კოლექტიური ნაშრომების წარმოდგენისათვის დაჯილდოებულ იქნას დიპლომებით: ბორჯომის რაიონის ყვიბისის, დუშეთის რაიონის ფასანაურის, საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის, გიორგიწმინდის, ყანდაურის; ფოთის I-ლი, მე-2; ახმეტის I-ლი; ჭიათურის მე-2, მე-5; ტყიბულის ორპირის; დუშეთის, ფოთისა და ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლების ნორჩ ნატურალისტთა წრეები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნორჩ ნატურალისტთა პირველ რესპუბლიკურ დაუსწრებელ კონკურსში მონაწილეთა მასობრივი ჩაბმისა და კარგი ნამუშევრების წარმოდგენისათვის დაჯილდოებული იქნან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომებით მასწავლებლები:

1. მანჩხაშვილი გიორგი გიორგის ძე—ხაშური, ქვიშხეთის საშ. სკოლის დირექტორი

2. ნოზაძე ღვთისო მარკოზის ძე—ხაშური, ალის საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

3. ეჯოშვილი ლენა ნიკოლოზის ასული—ხაშური, ალის საშ. სკოლის უ/პ/ხელმძღვანელი

4. ნადირაშვილი ნინო გრიგოლის ასული—თბილისის მეორე გახანგრძლივებული დღის სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

5. ვაშაძე ელდარი ნიკოლოზის ძე—ჭიათურის მე-5 საშ. სკოლის დირექტორი

6. მაჩაიძე ევა ესტატეს ასული—თბილისის 87-ე საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

7. გოგუაძე ნინო კიანის ასული—თბილისის მე-10 საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

8. შოშიაშვილი ციალა მიხეილის ასული—თბილისის I ლი საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

9. ჩიგოგიძე თამარ გარსევანის ასული—თბილისის 39-ე საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

10. ბაკურაძე ქეთევან ვასილის ასული—თბილისის პიონერთა სახლის პედაგოგი

11. თორაძე ნინო აქვსენტის ასული—თბილისის პიონერთა სასახლის პედაგოგი

12. ჯიქიძე თამარი გრიგოლის ასული—თბილისის ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის გამგე

13. ფერაძე ლეილა ვალეს ასული—თბილისის 53 ე საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექციამ:

ა) მსხვილ სასოფლო რაიონებში მიავლინოს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაკები და უზრუნველყოს მე-2 რესპუბლიკური დაუსწრებელ კონკურსში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმა;

ბ) ნორჩ ნატურალისტთა მე-2 რესპუბლიკური დაუსწრებელი კონკურსის შემაჯამებელი გამოფენა ჩაატარონ 1967 წლის ნოემბერში.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა ნორჩ ნატურალისტთა მე-2 რესპუბლიკურ დაუსწრებელ კონკურსში ჩააბან პიონერთა და მოსწავლეთა სახლები, ნორჩ ნატურალისტთა სადგურები, პიონერთა ბანაკები, პიონერთა კულტურისა და დასვენების პარკები.

3. სკოლების სამმართველომ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 11 ივლისის ბრძანება № 903

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური ერთგვარ მუშაობას ატარებს სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობის გაუმჯობესების, მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილების შესწავლისა და განზოგადებისათვის.

რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ტარდება ნორჩ ნატურალისტთა შეკრებები, ლექცია-მოხსენებები, ექსკურსიები, ბიოლოგიის მასწავლებელთა და უფროს პიონერხელმძღვანელთა თათბირ-სემინარები, ეწყობა შეხვედრები მეცნიერებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებთან.

სადგური დაკავშირებულია მოძმე რესპუბლიკების ნორჩ ნატურალისტთა სადგურებთან და სკოლებთან.

პერიოდულად ეწყობა გამოფენები „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“. ნორჩ ნატურალისტთა სადგური წლების მანძილზე მონაწილეობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში. 1966/67 სასწავლო წლის მაჩვენებლების მიხედვით ნატურალისტთა სადგური დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით.

მიუხედავად ამისა, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი.

ნატურალისტთა სადგური საკმაო მუშაობას ვერ ატარებს ბავშვების ნატურალისტური საქმიანობით დაინტერესების მიზნით, არ ჰყავს საკმაო რაოდენობით ცხოველები, აგრეთვე არა აქვთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი კულტურული მცენარეები, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებელია საცდელ-პრაქტიკული მუშაობის ფართოდ გაშლისა-თვის; არ წარმოებს კინოსა და სხვა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება, არადამაკმაყოფილებელია ნორჩ ნატურალისტთა წრეების მეცადინეობაზე წრის წევრთა დასწრება.

ნატურალისტთა სადგურთან ჩამოყალიბებულია მხოლოდ ერთი არაქართული (რუსული) წრე.

ნატურალისტთა სადგურს აქვს საკმაო მიწის ფართობი, რომელიც იძლევა საშუალებას როგორც სასწავლო-საცდელ, ისე საწარმოო ხასიათის მუშაობის გაშლისათვის. მიუხედავად ამისა, ხეხილის ბაღში, ზოოლოგია-მეცხოველეობის განყოფილებასა და სათბურებში სათანადოდ არ არის გაშლილი საცდელ პრაქტიკული მუშაობა. არ არის მოწესრიგებული სათბურების გათბობის საქმე, რის გამო ვერ ხერხდება ნატურალისტთა მუშაობის იმგვარად დაყენება, რომ მათ შეძლონ სხვადასხვა მცენარეებისაგან მოსავლის მიღება წელიწადის ყოველ დროს.

ნატურალისტთა სადგურის მეურნეობა სათანადოდ არ არის დაცული. არის შემთხვევები, როცა გარეშე პირთაგან ზიანდება ნარგავები და ნორჩი ნატურალისტების მიერ შესრულებული ნამუშევრები, რის გამოც სადგურს ყოველთვის არ აქვს საშუალება შეაჯამოს წრეების მიერ წარმოებული საცდელი მუშაობის შედეგები.

მეურნეობას დღემდე არ აქვს საკუთარი სარწყავი სისტემა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სასწავლო-საცდელ მუშაობას ნაკვეთზე.

ადგილი აქვს დარღვევებს თანამშრომელთა სამუშაოზე მიღების საქმეში. ბიბლიოთეკარად დანიშნულია საშუალო განათლების მქონე ნ. ჭაბაშვილი, რომელიც მეურნეობაში მუშად იყო მიღებული. გასული წლის მაისში, როდესაც დამთავრებული იყო ტრაქტორით შესასრულებელი ყველა სახის საგაზაფხულო სამუშაო, ტრაქტორისტად დაინიშნა ამავე სადგურის ბაღის მუშა ა. კუპრაძე.

პედაგოგიური საბჭოს მუშაობა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, საკითხების განხილვისას ყურადღება არ არის გამახვილებული სადგურის მუშაობის ნაკლოვან მხარეებზე, დადგენილებები ზოგადი ხასიათისაა.

ზემოხსენებული ნაკლოვანებები იმის შედეგიცაა, რომ ნატურალისტთა სადგურის დირექტორი შ. მანგიაშვილი ხშირად ავად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფობს, რის გამო უძნელდება ყოველდღიური ხელმძღვანელობის გაწევა სადგურის მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ნორჩ ნატურალისტთა სადგურის დირექტორმა:

ა) მკვეთრად გააუმჯობესოს ნორჩ ნატურალისტთა სადგურის მუშაობა. მიაღწიოს იმას, რომ წრეებში აუცილებლად ტარდებოდეს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო-საცდელი და პრაქტიკული ხასიათის სამუშაოები;

ბ) ჩამოაყალიბოს ნორჩ ფიზიოლოგთა, მეცხოველეთა, მეფრინველეთა წრეები; ფართოდ დანერგოს კინოსა და სხვა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ნატურალისტურ მუშაობაში;

გ) გადაამუშაოს და გამოსცეს ნორჩ ნატურალისტთა წრეების სასწავლო პროგრამები სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მიხედვით და მითითებანი წრეების მუშაობის შესახებ;

დ) მეთოდური წერილების თემატიკის შედგენისას გაითვალისწინოს ნორჩ ნატურალისტთა წრეების ორგანიზაციის, სწავლების შინაარსის ფორმებისა და მეთოდების საკითხები;

მეთოდური წერილების განხილვაში ფართოდ ჩააბას სადგურის განყოფილებათა გამგეები, წრის ხელმძღვანელები და ბიოლოგიის მოწინავე მასწავლებლები;

ე) კაბინეტ-ლაბორატორიებში შექმნას სათანადო პირობები მცენარეებსა და ცხოველებზე საცდელ-პრაქტიკული მუშაობისათვის.

იმგვარად მოაწყოს მუშაობა სასათბურო მეურნეობაში, რომ ნორჩმა ნატურალისტებმა შეძლონ კულტურული მცენარეებისაგან მოსავლის მიღება წლიწადის ყოველ დროს;

ვ) მიიღოს ზომები სასწავლო-საცდელი ნაკვეთის დაცვისათვის; სადგურის მუშაობის პრაქტიკაში დანერგოს ნატურალისტების მიერ დაყენებული ცდების შეჯამება და განზოგადება;

ზ) ნატურალისტთა სადგურის სასწავლო-საცდელი და საწარმოო ნაკვეთების მოსარწყავად მოაწყოს საგუბარი და სათანადო დანადგარები.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ. ზახაშვილი) ბიოლოგიის მასწავლებელთა გადამზადების სასწავლო-გეგმაში გაითვალისწინოს საჭირო საათები სკოლებში ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობის გასაცნობად.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) სკოლისგარეშე მუშაობის დაწესებულებათა დაფინანსებისას გაითვალისწინოს საჭირო თანხები შენობის კაპიტალური შეკეთების, სასათბურო მეურნეობის ცენტრალური გათბობისა და სასწავლო ხარჯებისათვის.

4. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურისათვის გაითვალისწინოს ფრინველებისა და ცხოველების საკვები, სასუქები, შხამქიმიკატები, სასწავლო ინვენტარი, ხის მასალა და სხვა საჭირო მასალები.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 7 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

## პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

# დადგენილება

**5 ივლისი 1967 წ.**

### სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების საქმეში რესპუბლიკის პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის შესახებ

სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე სერიოზული ამოცანები დაისახა საქართველოს სსრ მშრომელთა ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური ცოდნის ასამაღლებლად. მეხუთე ხუთწლედის დამლევს რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში უნდა ჩაებას წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე 67.000-ზე მეტი ახალგაზრდა.

ახალგაზრდა მშრომელთა ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებისათვის ფართო შესაძლებლობებს სახავს ზემდგომი ორგანოების დადგენილება საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადაყვანის შესახებ.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკაში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში რვაწლიანი განათლება მიიღო 30.275-მა, ხოლო საშუალო განათლება 35.000 მეტმა მშრომელმა ახალგაზრდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოსა და დაუსწრებელი საშუალო განათლების სისტემა რამდენადმე უფრო მოქნილი გახდა და უკეთ ეხამება მოსწავლეთა საწარმოო პირობებს.

უმჯობესდება საღამოს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. 60-მდე მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლას აქვს საკუთარი შენობა, რაც წარმოების საწარმოო რეჟიმის გათვალისწინებით ცვლიანი მეცადინეობის მოწყობის საშუალებას იძლევა.

აჭარის ასსრ, ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ჭიათურის, აგრეთვე ზესტაფონის, თელავის, მახარაძის და ზოგიერთი სხვა რაიონის სახალხო განათლების ორგანოები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები გარკვეულ ყურადღებას უთმობენ საწარმოო-დაწესებულებებში მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლებას, ახალგაზრდა მუშებსა და კოლმეურნეებს შორის ატარებენ ახსნა-განმარტებით მუშაობას ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის შემდგომი ზრდის აუცილებლობის შესახებ, აკონტროლებენ გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრებასა და მოსწრებას, აქტიურად იყენებენ მორალური და მატერიალური წახალისების ზომებს მათ მიმართ, ვინც წარმატებით ათავსებს წარმოებაში მუშაობასა და სკოლაში სწავლას, მოსწავლეებს უქმნიან აუცილებელ საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობებს და ა. შ.

ამასთან ერთად, პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავენ, რომ საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ორგანიზაციაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკაში საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ სწავლობს საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში.

1966—67 სასწავლო წელს არ შესრულებულა საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დაკომპლექტების სახალხო მეურნეობის გეგმა აფხაზეთის ასსრ-ში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. თბილისში, ტყიბულში, აგრეთვე ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, ლაგოდეხის, წალკის და სხვა რაიონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში არადამაკმაყოფილებლად ინერგება ახალგაზრდობის წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების ისეთი ახალი ფორმები, როგორიცაა რვაწლიანი სკოლის კურსზე დაჩქარებული სწავლების კლასები, ოსტატთა სამწლიანი სკოლები და სამწლიანი სკოლების ცალკეული კლასები საღამოს (ცვლის) სკოლებში, სასწავლო კომბინატები სოფლის მეურნეობაში.

რვა კლასის განათლების არმქონე ახალგაზრდობის შეუწყნარებლად მცირე ნაწილი აბარებს გამოცდებს ექსტერნის წესით რვაწლიანი განათლების მოწმობის მისაღებად.

საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების დიდ ნაკლს წარმოადგენს სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვა. 1965—66 სასწავლო წელს საქართველოს სსრ მუშა-ახალგაზრდობის სკოლებიდან გავიდა ან განითესა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 27,75%, სოფლის ახალგაზრდობის სკოლებიდან 22,27%, დაუსწრებელი სკოლებიდან კი 11,17%, ანუ ამ ტიპის სკოლების მოსწავლეთა მთლიანი რაოდენობის 25%.

ზოგიერთი პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაცია და სახალხო განათლების განყოფილება არ სწავლობს სკოლებიდან მოსწავლეთა გასვლის, არადამაკმაყოფილებელი დასწრებისა და მოსწრების მიზეზებს, ურიგდება იმას, რომ რიგ შემთხვევაში სამეურნეო დარგის მუშაკები აკავებენ მოსწავლეებს საზეგანაკვეთო სამუშაოებზე, აგზავნიან ხანგრძლივ მივლინებებში, გადაყავთ მათთვის მოუხერხებელ ცვლაში სამუშაოდ, არ აძლევენ მთავრობის მიერ დაწესებულ შეღავათებს.

სახალხო განათლების მთელი რიგი ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებს. სათანადო ყურადღებას არ უთმობენ კვალიფიციური პედაგოგებისა და სკოლის ხელმძღვანელთა შერჩევას, არასაკმაოდ ზრუნავენ მეთოდური მუშაობის გასაუმჯობესებლად მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების პრაქტიკაში დასანერგავად, სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ასამაღლებლად.

ზოგიერთ საღამოსა და დაუსწრებელ სკოლაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა სწავლების ხარისხის ამაღლებას, მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდურ დახელოვნებას, სწავლების მეცნიერულ-თეორიულ დონეს, მუშაობის სპეციფიკურ პირობებს, ადგი-

ლი აქვს მოსწავლეთა ცოდნის არაობიექტიურ შეფასებას, სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებები სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სკოლებისა და მოსწავლეების სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით უზრუნველსაყოფად.

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ადგენენ:

1. დაევალოთ პროფკავშირთა საოლქო, რესპუბლიკურ, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, განათლების სამინისტროებსა და განათლების განყოფილებებს, მტკიცედ იხელმძღვანელონ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, მიიღონ ქმედითი ზომები საღამოსა და დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მომუშავე ახალგაზრდების ზოგადი განათლების შემდგომ ასამაღლებლად, ამ ტიპის სკოლების ქსელისა და კონტინგენტის გასაშლელად, ოსტატთა სამწლიანი სკოლებისა და ცალკეული კლასების, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასწავლო კომბინატების, აგრეთვე დაჩქარებული სწავლების კლასების გასახსნელად, სამეურნეო დარგების ხელმძღვანელთა მონაწილეობით შეიმუშაონ და დააზუსტონ თითოეულ საწარმოში მშენებლობაზე, დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში 1967—70 წლებისათვის ახალგაზრდა მუშების საღამოსა და დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმის პერსპექტიული გეგმა, პირველ რიგში, მიაღწიონ საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში იმ ახალგაზრდების ჩაბმას, რომელთაც არა აქვთ რვა კლასის განათლება.

2. წინადადება მიეცეთ პროფკავშირთა საოლქო, რესპუბლიკურ, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, კომკავშირის საოლქო, საქალაქო რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სახალხო განათლების ორგანოებსა და სკოლების პედკოლექტივებს, ფართოდ გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ახალგაზრდებს შორის ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკური ცოდნის ამაღლების აუცილებლობის შესახებ. ახალგაზრდა მუშებს აღუძრან ინტერესი მეცნიერებისა და ტექნიკისადმი, მისწრაფება ცოდნის დაუფლებისადმი, კულტურული ზრდისა და თვითგანვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარებისადმი; განუმარტონ სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მიღების პირობები, გააცნონ წარმოებისაგან მოუწყვეტლად მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათები. ამ მიზნით გამოიყენონ სახალხო უნივერსიტეტები, ლექტორიუმები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, ადგილობრივი გაზეთები, რადიო და ტელეხედვა.

სკოლებში, საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში მოაწყონ ჯგუფების მეცადინეობა ახალგაზრდობის სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში შესასვლელად. ფართოდ ჩააბან ამ საქმეში პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი, ინჟინერტექნიკური მუშაკები, მასწავლებლები, სტუდენტები.

3. პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და სახალხო განათლების ორგანოებმა გააუმჯობესონ მუშაობა სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების კონტინგენტის დასამაგრებლად, შეისწავლონ და აღმოფხვრან მეცადინეობის გაცდენისა და მოსწავლეთა განთესვის მიზეზები. მეცადინეობა სკოლებში მოაწყონ ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საერთო საცხოვრებელში მცხოვრები ახალგაზრდების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მიაღწიონ მათში სამეცადინო ოთახების გამოყოფასა და მოწყობას; იზრუნონ სალამოს სკოლებში ბუფეტების გახსნისათვის. მიაღწიონ იმას, რომ წარმოებაში დასაქმებული ყოველი ახალგაზრდა, რომელიც სწავლობს სალამოს სკოლაში, სარგებლობდეს მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათებით. კოლექტიურ ხელშეკრულებებში შეიტანონ ვალდებულებანი ახალგაზრდა მუშების ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების მოწყობის შესახებ და მიიღონ მხედველობაში მათი შესრულება წარმოების საქმიანობის შედეგების დაჯამების დროს, აგრეთვე კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და ბრიგადების წოდების მინიჭებისას; ხელი შეუწყონ საწარმოო თანრიგების ამაღლებასა და პასუხსაგებ სამუშაო უბანზე პირველ რიგში სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების იმ მოსწავლეების, აგრეთვე სკოლის კურსდამთავრებულთა დაწინაურებას, რომელთაც აქვთ სათანადო საწარმოო კვალიფიკაცია.

4. პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და სახალხო განათლების ორგანოებმა მიაღწიონ მუშა და სოფლის

ახალგაზრდობის სკოლებისათვის ადგილობრივი მშრომელთა დეპუ-ტატების საბჭოებისაგან, სამრეწველო საწარმოების, მშენებლობე-ბის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობისა-გან ვარგისი შენობების გადაცემას, კაბინეტებისა და ლაბორატო-რიების სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოების შეძენას.

წარმოებების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭო-თა მეურნეობების პროფკავშირულმა და კომკავშირულმა კომიტე-ტებმა სამეურნეო დარგის ხელმძღვანელებთან ერთად სისტემატუ-რად იზრუნონ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მათთვის ბინე-ბის გამოყოფის, სათბობით მომარაგებისა და, საჭიროების შემთხვე-ვებში, ცალკეულ სკოლებსა და კლასებში მისი მიტანისათვის.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების განათლების განყოფილებებმა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა სა-ღამოსა და დაუსწრებელი სკოლებისადმი, აამაღლონ მასში სასწავ-ლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, დააკომპლექტონ ისინი კვა-ლიფიციური პედაგოგიური კადრებით, იზრუნონ მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და პედაგოგიური დახელოვნების ამაღლებისათვის, შეისწავლონ და განაზოგადონ მათი მუშაობის დადებითი გამოცდი-ლება.

6. დაევალოს საქართველოს ალკკ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო, აგრეთვე საქალაქო და რაიონულ კომი-ტეტებს, საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში შექმნან არასაწესდებო კომკავშირული ორგანიზაციები და ჯგუფები; დაავალონ მათ სასწავლო-აღმზრდე-ლობითი მუშაობის მიმდინარეობის პროცესში სკოლის პედაგოგიუ-რი კოლექტივისადმი დახმარების გაწევა და საწარმოების, მშენებ-ლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავ-შირულ კომიტეტებთან მუდმივი კონტაქტის დამყარება.

7. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭვდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წინაშე, რათა 1967—1968 წლებში მოამზადოს და მასობრივი ტირაჟით გამოსცეს მხატვრულად გაფორმებული ისეთი ბროშურები, სამახსოვროები და პლაკატები, რომლებიც პროპაგანდას გაუწევს ახალგაზრდებს შო-რის რვაწლიანი და საშუალო განათლების მიღების სხვადასხვა ფორმას, შეღავათებს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლეთათვის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის დადებით გამოცდილებას ახალგაზრდობის საერთო განათლების ამაღლების საქმეში და სხვ.

8. გაზეთებმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“, „მოლოდიოჟ გრუზიამ“, „სახალხო განათლებამ“, ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ თავიანთ ფურცლებზე რეგულარულად გააშუქონ პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტების, სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის გამოცდილება მომუშავე ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების საქმეში.

9. დაევალოს საქართველოს პროფსაბჭოს კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული მუშაობის განყოფილებას, საქართველოს ალკკ ცკ-ის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებასა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს უახლოეს ხანში შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად და სისტემატური კონტროლი გაუწიონ მის შესრულებას.

| | | |
|---|---|---|
| პროფსაბჭოს თავმჯდომარე | საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ განათლების მინისტრი |
| შ. კიკნაძე | თ. ჩერქეზია | თ. ლაშქარაშვილი |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. დადგენილება—1967—63 წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ . . . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 695—რესპუბლიკური ბიუჯეტით 1966 წლის ანგარიშის დამტკიცების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 22
3. Приказ № 714 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 24
4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიების დადგენილება № 14/9—რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში 1967—68 სასწავლო წელს ახალგაზრდობის ორგანიზებულად მიღების ღონისძიებათა შესახებ . . . . 26
5. Приказ № 724 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 34
6. ბრძანება № 723—ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-6 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-7 შეკრების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . 36
7. ბრძანება № 731—არასრულწლოვანთა შორის სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . 50
8. ბრძანება № 759—1967 წლის I კვარტალში განათლების სამინისტროში შემოსულ მშრომელთა განცხადება—საჩივრების განხილვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . 54
9. ბრძანება № 764—ბუნების ნორჩ მეგობართა მე-2 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . 60
10. დადგენილება № 17/60 ქ. გორის მე-4, მე-6 და მე-10 საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 70
11. ბრძანება № 853—სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი დაწესებულებათა მატერიალური უზრუნველყოფისა და სამეურნეო მომსახურების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 74
12. ბრძანება № 864—ქობულეთისა და პატარა ცემის სანატორიული სატყეო სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . 79
13. ბრძანება № 879—ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების პედაგოგიურ კაბინეტთან არსებული საქალაქო ფილმოტეკის ბაზაზე ქ. თბილისის განათლების განყოფილების ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების მეთოდური კაბინეტის ორგანიზაციის შესახებ . . . . . . . . . 84

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14. ბრძანება № 902—ნორჩ ნატურალისტთა 1-ლი დაუსწრებელი რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-2 კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 87
15. ბრძანება № 903—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 93
16. დადგენილება—სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების საქმეში რესპუბლიკის პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . . . 97

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VIII-67 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 7.

შეკვ. 768. უე—10808. ტირაჟი 5000.

თბილისის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ., 19.
Тбилисская типография № 11, ул. Уш. Чхеидзе № 19